# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 6 ივლისი 2005 №151 (2474) ფასი 50 თეთრი


## ვლადიმერ ბოისა: შემდეგი სადგური სიენა



სიენა, უფრო ზუსტად კი „მონტეპასკი სიენა“ („მონტეპასკი“ უძველესი იტალიური ბანკია, სიენას გუნდის სპონსორი)— ასე ჰქვია ვლადიმერ ბოისას ახალ კლუბს, რომელთანაც საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს გუშინდლიდან სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და რომლის ღირსებასაც დაიცავს მომავალ ევროლიგაში.

ლუბლიანის „ოლიმპიას“ უკვე ყოფილი 25 წლის (206 სანტიმეტრი) კაპიტანი და საუკეთესო მექულე ბოლო დღეებში კუბაზე ისვენებდა და იტალიელებთან ხელშეკრულების საბოლოო წვრილმანებს აზუსტებდა. ამიერიდან მის კარიერაში ახალი ეტაპი იწყება.

# მეორე დღე ოქრო



არსენ მაჭარაშვილი

იტალიურ ლინიანოში მიმდინარე ახალგაზრდების ოლიმპიური ფესტივალის მეორე დღეც ოქროს მომტანი აღმოჩნდა საქართველოს დელეგაციისთვის. მესამე მედალიც ძიუდოისტის დამსახურებაა — 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში არსენ მაჭარაშვილმა ოთხი მეტოქე ისე ჩამოიცილა, სერიოზული წინააღმდეგობა არავისგან შეხვედრია. ფინალში კი ბელარუს ვიტალი შავლიუკს აჯობა.

მესამე წრეში გააღწია ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ. პირველი შეხვედრის მსგავსად, მან შვეიცარიელ ჟუსტინ დერუნგსთანაც მარცხიანი სეტით დაიწყო, მაგრამ მერე ორჯერ საკმაოდ იოლად იმარჯვა — 3:6, 6:2, 6:1.

იგივეს გაკეთება ნიკა ქურდაძესაც შეეძლო, მაგრამ იტალიელ დანიელე პილუდუსთან უშანსოდ — 1:6, 1:6 წააგო.

ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩნენ ტანმოვარჯიშეებიც, თუმცა მათგან დიდ შედეგებს არავინ ელოდა.

დღეს კი ჩვენების ყულაბაში მედლის ჩაშვებას ისევ ძიუდოისტები შეეცდებიან. 73 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში ოთარ ტვილდიანი და ბეთქილ ნავერიანი იჭიდავებენ.

საინტერესო მატჩი ელის ფეხბურთელთა ნაკრებსაც. კობა ჟორჟიკაშვილის სამწყსო ჯგუფური ეტაპის მეორე შეხვედრაში ლატვიას დაუპირისპირდება და წარმატების შემთხვევაში ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩება.


IGNANO SABBIADORO


# პარიზი, ლონდონი, მადრიდი, მოსკოვი და ნიუ იორკი!

## დღეს სინგაპურში 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძელს დაასახელებენ







დღეს ამ ქალაქთაგან ოთხი დამარცხდება, ერთი კი 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობით გაიხარებს. ეს გადაწყდება სინგაპურში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე, სადაც თითოეული ქალაქის მხარდასაჭერად ჩავიდნენ არა მხოლოდ ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის დიდმოხელენი, არამედ სახელმწიფოთა მეთაურები, მსოფლიოს სპორტის კაშკაშა ვარსკვლავები, გამოჩენილი, პოპულარული პიროვნებები...



AFP სინგაპურიდან

მისის ბლერი, დევიდ ბექემი და მისტერ ბლერი სინგაპურში ლონდონის კანდიდატურას უწევენ რეკლამას



## კრისტიან ვიერი მილანში გადავიდა

# ცოტაც მალხაზს ჰკითხეთ...
## ასათიანის მწვრთნელი ლოსკოვი ყოფილა



*რუსული პრემიერლიგის ნინა ტური მალხაზ ასათიანისა იყო. „ლოკომოტივისგან" ჩეჩნური „ტერეკის" რბევისას ქართველი ფეხბურთელი ჩვენმა რუსმა კოლეგებმა საუკეთესოდ დაასახელეს, მეექვსედ უბოძეს ადგილი სიმბოლურ ნაკრებში და რუსეთში მოთამაშე ლეგიონერთაგან გამოარჩიეს...*

*მოკლედ, მალხაზ ასათიანმა თავისი ნიჭით რუსები ერთხელაც გააოცა, ამჯერად როგორც ცენტრალურმა ნახევარმცველმა. მალხაზმა „ტერეკთან" სწორედ თავის საყვარელ პოზიციაზე, მოედნის შუაში ითამაშა და ორ საგოლე პასს გოლიც დაურთო*

— მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ვიცოდი, რომ „ტერეკთან" მწვრთნელი გამთამაშებლად დამაყენებდა, ჩვენი კაპიტანი ლოსკოვი ტრავმირებული იყო და იმიტომ — გვითხრა გუშინ მალხაზ ასათიანმა — უჩვეულო არაფერი ყოფილა, სადაც მსიამოვნებს, იმ პოზიციაზე ვითამაშე და ამისთვის მწვრთნელს მადლობას ვეუბნები.

— ეშტრეკოვი შენი თამაშით კმაყოფილი დარჩა. თავად რას ფიქრობ?

— 4:0 მოვიგეთ და უკმაყოფილო რატომ უნდა ვიყო?! ისე ვითამაშე, როგორც შემიძლია.

— მომავალი მატჩი 9 ივლისს „სპარტაკთან" გაქვთ. ისევ შუაში ითამაშებ?

— ჩემი ნება რომ იყოს, ასე გავაკეთებდი. მაგრამ მწვრთნელი რას მოიფიქრებს, ვერ გეტყვით. ჯერ არ ვიცი, მცველის პოზიციაზე დამაბრუნებს თუ გამთამაშებლად დამტოვებს.

— ეს, ალბათ, ლოსკოვის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული...

— რა თქმა უნდა, ლოსკოვი „ლოკომოტივის" ლიდერია და ჩვენთვის დიდ ძალას წარმოადგენს. გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, კარგი იქნება, „სპარტაკთან" ის თუ ითამაშებს, მაშინ, ალბათ, ისევ დაცვის ხაზს დავუბრუნდები.

— ისე, „სპარტაკი" ბოლო დროს ძალიან მოლონიერებული ჩანს...

— ძალიან მძიმე, ურთულესი თამაში გველის. თანაც, მატჩი „ლუჟნიკების" ხელოვნურსაფარიან მოედანზეა და „სპარტაკი" იქ უფრო გაწაფულია. ჩვენ ძირითადი შემადგენლობიდან იზმაილოვი და ლიმა დაგვაკლდებიან, საეჭვოა ლოსკოვის თამაშიც.

— თან, ამბობენ, „ლოკომოტივი" გადაღლილიაო.

— ყოველ სამ დღეში თამაში მართლაც ძნელია, მაგრამ ჯერჯერობით ჯანი კიდევ გვაქვს და ვეცდებით, ჩემპიონატის პირველი წრე პირველ ადგილზე ჩავამთავროთ. მერე, ალბათ, ცოტას დავისვენებთ.

— თვეზე მეტია, „ლოკომოტივი" ეშტრეკოვმა ჩაიბარა. შეადარებ ამ და სიომინის გუნდებს?

— შესადარებელიც არაფერია. გუნდში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა, იგივე ტაქტიკა, იგივე ფეხბურთელები, იგივე შედეგი. ყველანი კმაყოფილები ვართ.

— სიომინს ველარ ხვდები ხოლმე?

— ხშირად გვსტუმრობს ბაზაზე. დაგვხედავს, მოგვიკითხავს, გვამხნევებს. ერთმანეთს ახლა ცოტა იშვიათად ვხედავთ, მაგრამ ურთიერთობა არ დაგვიკარგავს.

— ახლა მიხეილ აშვეთიასაც რომ იშვიათად ნახავ?

— რა გაეწყობა. „ლოკომოტივში" სამი წელი ერთად ვიყავით და სამწუხაროა, რომ მიხო წავიდა. მესმის მისი, თამაში სურს და ამას „როსტოვში" „ლოკომოტივზე" ხშირად შეძლებს. ისე კი, რასაც ვარჯიშებზე ვუცქერდი, მიხო კარგ ფორმაშია და „როსტოვს" დიდ ძალას შემატებს. იქ მიხო უფრო გამორჩეული ფეხბურთელი იქნება. ექვსი თვის შემდეგ კი მას მოსკოვში ველი.

**ქოშა ინასარიძე**



# ოღონდ ვითამაშო...
## აშვეთია როსტოვს დანებდა

**მიხეილ აშვეთია** „როსტოვში" ითამაშებს. გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივმა" ქართველი თავდამსხმელი რუსული პრემიერლიგის აუტსაიდერს ექვსი თვით დაუთმო.

მართალია, მიხოს ჩემპიონი „ლოკომოტივიდან" პრემიერლიგიდან გავარდნის პირას მყოფ „როსტოვში" გადაბარგება არ სურდა და არც კლუბის ხელმძღვანელობა აძალებდა, მაგრამ აშვეთიამ ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად თამაშის იმედით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და გუშინ როსტოვში გაემგზავრა. ქართველი თავდამსხმელის იჯარით აყვანის სურვილი ორიოდე დღის წინ სამარის „კრილიამაც" გაამჟღავნა, მაგრამ მერე გაირკვა, რომ ამ კლუბს აშვეთიას პირობების დაკმაყოფილება არ შეეძლო.

მოკლედ, ქართველი თავდამსხმელი, რომელმაც შარშან ორი უმძიმესი ტრავმა მიიღო და საუკეთესო სათამაშო ფორმა ჯერაც ვერ აღიდგინა, უახლოეს ექვს თვეს „როსტოვში" გაატარებს, მერე კი, ვნახოთ. შეგახსენებთ, წლევანდელ რუსეთის ჩემპიონატში მიხეილ აშვეთიამ სულ ორჯერ ითამაშა, გოლი კი არ გაუტანია. არადა, დრო იყო, მიხოს „ლოკომოტივის" საუკეთესო ფეხბურთელად თვლიდნენ.

**ქოშა ინასარიძე**

# სასამართლომ არჩილი რენტგენზე გაატარა

**არჩილ არველაძემ** ფეხბურთელის კარიერა შარშანწინ დაასრულა ტრავმის გამო და გუშინ გერმანიაში, დიუსელდორფში გახლდათ იურიდიული საკითხების მოსაგვარებლად — არჩილს სასამართლო ექსპერტებმა სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს, რათა იურიდიული დასკვნა გააკეთონ იმ სასამართლოსთვის, რომელმაც ჩვენებურს სადაზღვევო კომპენსაციის მიღების ნება უნდა მისცეს.

ერთი სიტყვით, სასამართლო გრძელდება და დასკვნას სავარაუდოდ ათ დღეში გააკეთებს. თუ სასამართლო არველაძისთვის არადამაკმაყოფილებელ ვერდიქტს გამოიტანს, პროცესი ამით არ დასრულდება და, თუ არჩილი იჩივლებს, გაგრძელდება.

**ნიკა ჯორჯაძე**

### შვედეთი
სუპერეტა. XIV ტური

ფრიოლუნდა 0:3 აიკ

### ამხანაგური მატჩები
იანგ ბოისი 0:1 ტრაბზონი

ბოტსვანა 0:0 კონგოს დრ

### ირლანდია
ლიგის თასი. 1/8 ფინალი

კორკ სიტი 0:1 ლონგფორდი

დერი სიტი 5:4 დროჰედა

# ლოკომოტივი დაისისხა
## გრაიონე ეპიდემია

**თურქულ** ყიზილჯამაში მოსამზადებლად მყოფი თბილისის „ლოკომოტივი" გუშინ მასპინძელ „დიარბაქირს" გაეჯიბრა და 0:4 დამარცხდა. როგორც თბილისელთა დირექტორმა ლევან ყიფიანმა გვითხრა, გუნდის ოთხი ფეხბურთელი — ფურთუხია, ალავერდაშვილი, სირბილაძე, კახელიშვილი — ლოგინადაა ჩავარდნილი, როინ ონიანი და ქებაძე კი ნაავადმყოფარები არიან. „ლოკომოტივს" თურმე გრიპის ვირუსი დაერია და ფეხბურთელებს მაღალი სიცხე აქვთ. ყიფიანი შიშობს, რომ გუნდს შეკრების ნაადრევად დასრულება და თბილისში ვადაზე ადრე დაბრუნებამ არ მოუწიოს.

— ახლა ჩვენი ერთადერთი საფიქრალი უეფას თასზე „ბანანცთან" მატჩამდე ფეხბურთელების გამოჯანმრთელებაა. აქ გრიპის ეპიდემია და ავადმყოფობის დიდი საშიშროებაა. ამიტომაც ახლა ვფიქრობთ, ღირს თუ არა ყიზილჯამაში შეკრების ბოლომდე გასრულება — გვითხრა ლევან ყიფიანმა.

„დიარბაქირთან" თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *შეყრილაძე (ჩალაძე); მაზვილაძე (საჯაია), ფოფხაძე, სეთურიძე (მხეიძე), რ. ონიანი; ბენდელიანი, სირაძე, ყიფიანი, ქებაძე; გაბლაია (კობაძე), ჩივაძე (ფლენტი).*

გუშინ „ლოკომოტივს" დაუბრუნდა მცველი გიორგი ონიანი, რომელიც ამას წინათ რიგის „სკონტოში" ისინჯებოდა.

**ქოშა ინასარიძე**



გიორგი ონიანი (მარცხნივ) „ლოკომოტივს" დაუბრუნდა

# სოხუმის დინამოში კაპიტნად აფხაზ ფეხბურთელს მოვიწვევთ

## ხაგბა, თარბა, გუბაზი... სად არიან ეს ფეხბურთელები და რა ხდება აფხაზეთში



**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის ინიციატივით სოხუმის „დინამო" უმაღლეს ლიგაში ითამაშებს, რაც ალბათ თავისებურ ხიბლს შემატებს ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს. სოხუმის „დინამო" მანამდე რეგიონულ ლიგაში გამოდიოდა, ახლა კი, ფაქტობრივად, ახალი გუნდი იქმნება — რეგიონული ლიგის გუნდიდან ცხრა ფეხბურთელი დარჩება ჩვენთან, თუმცა ისინი ამ ეტაპზე სათადარიგოებად დაგვჭირდებიან — გვითხრა სოხუმური „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გოჩა ჟორჟოლიანმა, ვისთანაც ძველი სოხუმის „დინამოდან" დავიწყეთ საუბარი...**

— სოხუმის „დინამოში" 16 წლისა, 1981 წელს მივედი. შემდეგ უმაღლესი ლიგის როსტოვის სკა-ში ამოვყავი თავი, რადგან ჯარში გაწვევა მიწევდა და როსტოვის არმიელთა გუნდში ყოფნა სამხედრო სამსახურად მეთვლებოდა. სოხუმის „დინამოში" 1987 წელს დავბრუნდი და მას შემდეგ სულ ძირითადი მეკარე ვიყავი. მაშინ იქ სხვათა გარდა ემზარ მამფორია, ბესლან ნანბა, სოსო მალანია, რომან ხაგბა, თემურ ჟიბა და ახრიკ ცვეიბაც თამაშობდნენ, ხოლო როცა სკა-ში ვიყავი, სოხუმის „დინამოში" თემურ ქეცბაიაც თამაშობდა, თუმც ჩემი იქ დაბრუნებისას ქეცბაია უკვე თბილისის „დინამოში" გადასულიყო.

**— რა გაქანების გუნდი იყო მაშინდელი სოხუმის „დინამო"?**

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგაში მე-4 მე-5 ადგილებზე გავდიოდით ხოლმე, 1989 წელს კი პირველ ლიგაში გადავედით, მაგრამ ქართული ფეხბურთი მაშინ საბჭოურს გამოეყო და სოხუმის „დინამოც" ორად გაიყო — გუნდში რვა ქართველი ვიყავით და ახალშექმნილ სოხუმის „ცხუმში" აღმოვჩნდით. ჩვენთან გადმოვიდა სომეხი აშოტ კურგენიანიც, ვინც იმ დროისთვის ფოთის „კოლხეთში" იყო, მანამდე კი სოხუმის „დინამოში". კურგენიანს ის სოხუმის „დინამოც" ეპატიჟებოდა, სადაც აფხაზები დარჩნენ, მაგრამ მან ჩვენთან ყოფნა არჩია.

**— როცა აფხაზეთში სიტუაცია დაიძაბა, გუნდში რა ვითარება იყო?**

— ძალიან ნორმალური, ჩვენს და აფხაზ ფეხბურთელებს შორის არანაირი ინციდენტი არ მომხდარა — რომან ხაგბა, საიდ თარბა, გიორგი ჩალიგავა — მათთან ყოველთვის ნორმალური ურთიერთობა მქონდა, ჩვენი მწვრთნელი კი გიგა ნორაკიძე იყო.

**— თქვენს შემდგომ კარიერაზეც გვითხარით.**

— „ცხუმში" საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშის შემდეგ უკრაინულ „ტემპში" წავედი, სადაც გიორგი ჩიხრაძესთან, იური გაბისკირიასთან და ძმებ კაპანაძეებთან ერთად ვიყავი. იქიდან სანკტ-პეტერბურგის" „სმენა-სატურნში" გადავედი, რომელსაც მერე „ლოკომოტივი" დაერქვა — ეს რუსეთის პირველი ლიგა იყო. „ლოკომოტივში" ორი ისეთი რუსი ფეხბურთელი იყო, ადრე ჩინეთში რომ ეთამაშათ და ერთხელაც მათი ჩინელი მწვრთნელი ჩამოვიდა სანკტ-პეტერბურგში, ვისაც მეკარეც სჭირდებოდა და ასე აღმოვჩნდი შანხაის „შენჰუაში" — ჩინურ ენაზე შენჰუა შანხაის ყვავილებს ნიშნავს.

**— ჩინეთში საკმაოდ წარმატებით ითამაშეთ, ჩინეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარეც კი გახდით...**

— ჩინეთის ჩემპიონატი საკმაოდ კარგი დონისაა, იქ ფრანგი ლეგიონერებიც კი თამაშობდნენ, „გენგამის" და „კაენის" ფეხბურთელები. ჩინეთში სამი სეზონი ვითამაშე, ორი „შენჰუაში", ერთი „მაცუნიჩიში". 1995 წელს „შენჰუაში" ჩინეთის ჩემპიონი გავხდი და საუკეთესო მეკარედაც მაშინ დამასახელეს. კიდევ, შანხაიში ყოველწლიურად აჯილდოებენ იქ მოსაქმიანე რომელიმე უცხოელს ქალაქის ცხოვრებაში შეტანილი წვლილისთვის, არ აქვს მნიშვნელობა იმას, ის სპორტსმენია თუ მეცნიერი და ეს პრიზი მე გადმომცეს. შემდეგ ჩვენი მწვრთნელი შუ გემ პაო „მაცუნიჩიში" გადავიდა და მეც იქ გავყევი, სადაც მეკარეობის გარდა პაოს თანაშემწეც ვიყავი. ფეხბურთელის კარიერაც ამის შემდეგ, 32 წლისამ დავასრულე.

**— მერე რას საქმიანობდით?**

— საფეხბურთო სკოლა „მერანში" მიმიწვია მწვრთნელად გენადი ქიქავამ, შემდეგ გაგრელ ბიზნესმენ სერგო აბაშიძესთან ერთად გაგრის „დინამოს" შექმნა გადავწყვიტეთ, მაგრამ მერე ამას სოხუმის „დინამოს" აღდგენა ვამჯობინეთ, სოხუმის „დინამო" ხომ ფაქტობრივად აფხაზეთის ნაკრები იყო — ეს კლუბი ხელახლა 2002 წლის 29 მარტს შეიქმნა.

**— აფხაზებს აღარ ჰყავთ თავიანთი სოხუმის „დინამო"?**

— არა, იქ ახლა სოხუმის ორი გუნდია — „სახუ" და „ნარტაა", რომელსაც საიდ ტარბა წვრთნის. სულ აფხაზეთის ჩემპიონატში რვა გუნდი თამაშობს, გუდაუთელების მწვრთნელი ჯემალ გუბაზია, ისიც თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი იყო.

**— ქართველ გულშემატკივარს თბილისის „დინამოში" ნათამაშევი აფხაზი ფეხბურთელებიდან ყველაზე კარგად ალბათ ხაგბა ახსოვს — ხომ არ იცით მისი გზაკვალი?**

— აფხაზეთში, ლესელიძეში თბილისის „დინამოს" ბაზა რომ იყო, ხაგბა ახლა იქ მუშაობს მწვრთნელად საფეხბურთო ლიცეუმში. მე და ხაგბას ერთად იმდენი შამპანური დაგვილევია, რომ ამ პერიოდს რა დამავიწყებს. ომის დროს კი ჩვენ იარაღი არ აგვიღია და გასაყოფიც არაფერი გვაქვს. რაც ჩვენსა და აფხაზებს შორის მოხდა, ამის დავიწყება შეუძლებელია, მაგრამ მტრობა რომ საუკუნეებით გავრძელდეს, ეგეც არ შეიძლება. ვინც ომის დროს სისაძაგლეებს არ სჩადიოდა, ყველამ ხელი უნდა ჩამოართვას ერთმანეთს.

**— სოხუმის „დინამოში" აფხაზეთის ჩემპიონატში მოთამაშე რომელიმე გამორჩეული ფეხბურთელის მოწვევას არ აპირებთ?**

— როგორ არა და ამ საკითხზე თარბას ველაპარაკე კიდეც. უფრო ხარი, ვინმე ასეთი გამომიძებნე და მას სოხუმის „დინამოს" კაპიტნადაც ავარჩევთ-მეთქი, მაგრამ თარბამ მითხრა, ასეთი არავინ მყავსო. ლაპარაკში შევატყვე, რომ აფხაზები აფხაზური ხელისუფლების შიშის ქვეშ არიან. მიუხედავად ყველაფრისა ამას დრო სჭირდება, თორემ აფხაზი ფეხბურთელის მოწვევა დღის წესრიგში კვლავაც გვაქვს.

**— ახლა ვინ აფინანსებს სოხუმის „დინამოს"?**

— ამ ხალხს ჯერ არ უნდათ ამის გამომჟღავნება, ჩვენთან საქართველოს კვალობაზე ფინანსური პრობლემები არ არის და მალე [illegible] გაუმჯობესებასაც ველით.

**— რა მიზნისთვის იბრძოლებთ მე-17 ეროვნულ ჩემპიონატში?**

— უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად, მაგრამ სულ მალე ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლებთ.

**დავით თავართქილაძე**




აფხაზი ახრიკ ცვეიბა და ქართველი გიორგი ჩიხრაძე სოხუმის „დინამოშიც" თანაგუნდელები იყვნენ და ჩინურ „ციანვეიშიც"

# სოხუმმა გია ჩხაიძე გაიხსენა



გია ჩხაიძე (№11) უკვე სოხუმელია

**უმაღლეს** ლიგაში ჩარიცხულმა სოხუმის „დინამომ" ვეტერანი მცველი გია ჩხაიძე დაიმატა. 35 წლის ფეხბურთელი ბოლოს საჩხერის „ჩიხურაში" თამაშობდა, იქამდე კი მრავალი ქართული კლუბი გამოიცვალა — მათ შორის „მერანი", „ტორპედო", „გურია". 6-7 წლის წინ ჩხაიძე ვლადიკავკაზის „ალანიაშიც" ირიცხებოდა, თუმც იქ კარიერა ვერ აეწყო და მალევე დატოვა გუნდი.

გიას საქართველოს ნაკრებშიც უთამაშია 3 მატჩი. ეს იმ დროს, როცა ნაკრებს ვლადიმერ გუცაევი თავკაცობდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ტურნირი პალატის კონტროლით

**სპორტკომპლექს** „ქარიშხალაში" გუშინ დასრულდა წარსულში ცნობილი ქართველი თავდამსხმელის, ავთანდილ ჭკუასელის ხსოვნის ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომლის თაოსნები სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი იყვნენ.

ტურნირში სამთავრობო სტრუქტურების 14 გუნდი მონაწილეობდა, ფინალში კი კონტროლის პალატა და შინაგან საქმეთა სამინისტრო გავიდნენ. ძირითადი და დამატებითი დრო 2:2 დასრულდა, პენალტები კი კონტროლის პალატის მოთამაშეებმა უკეთ დაარტყეს (4:3) და ჩემპიონობა მოიპოვეს.

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდები | მოვიდნენ | წავიდნენ | საზოლისწინა მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** თბილისი | ნერგაძე (ტორპედო), მეგრელაძე (ტორპედო), **სტურუა (ლოკომოტივი)**, ბობოხიძე (ლოკომოტივი), **თოთლაძე (ბათუმი)**, ქემოკლიძე (თბილისი), *აკობია (კოლხეთი)* | კ. შალამბერიძე (ტორპედო), კაკალაძე (ტორპედო), ლ. ჭელიძე (კაუნასი, ლიტვა), ქუცურუა (სიონი), დვალი (სიონი), მარკოზაშვილი (სიონი), კვიტაიშვილი (კახეთი), შეყრილაძე (ლოკომოტივი), ჯამარაული (ანართოსისი, კვიპროსი), მამალაძე (ბორჯომი), კუნეგატო (?, ბრაზილია), რომერო (?, ბრაზილია), სილაგაძე (?), ჭიჭველიშვილი (?) | ფორტცაინი (გერმანია) 5:1, ჰალბრონი (გერმანია) 5:0, რადოსფელდი (გერმანია) 8:1, სენტ გალენი (შვეიცარია) 1:1, გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:0, შაფჰაუზენი (შვეიცარია) 1:2 |
| **ტორპედო** ქუთაისი | კ. შალამბერიძე (დინამო), კაკალაძე (დინამო), კვეტენაძე (გუსარი, აზერბაიჯანი), ზ. ჩხეტიანი (ზესტაფონი) | ნერგაძე (დინამო), მეგრელაძე (დინამო), კოშკაძე (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ბორჯომი), ბაქრაძე (ბორჯომი), მემარნიშვილი (ბორჯომი), *მერლანი (?)* | |
| **თბილისი** თბილისი | | გრიშიკაშვილი (ბაქო, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე (დინამო), მიქიაშვილი (ბორჯომი), გენაძე (ბორჯომი), ლილუაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), *ლუის ცაკარიასი (მთავარი მწვრთნელი), მინ ჩოი (?), იაშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია), მესხი (ბორჯომი)* | სიონი 4:3 |
| **ლოკომოტივი** თბილისი | შეყრილაძე (დინამო), საჯაია (უგუნდო), ფურთუხია (ზესტაფონი), გიზო შენგელია (კოლხეთი), სირაძე (ტრირი, გერმანია), ინოგოვი (?, უზბეკეთი) | ბობოხიძე (დინამო), სტურუა (დინამო), მანჩხავა (კაუნასი, ლიტვა), მძინარიშვილი (კახეთი) | სიონი 6:1, ტირანა (ალბანეთი) 4:3, დიარბაქირი (თურქეთი) 0:4 |
| **ზესტაფონი** ზესტაფონი | კოშკაძე (ტორპედო), გუშარაშვილი (ბათუმი), *შ. ჯიქია (თბილისი), ლაფერაშვილი (ნიუნბერგი-მოყვ.)* | გუჩუა (სოხუმი), მამარდაშვილი (ბორჯომი), ფურთუხია (ლოკომოტივი), *ზირაქიშვილი (ინტერი, აზერბაიჯანი), ქვაჩახია (?), შავგულიძე (?), სომხიშვილი (?)* | |
| **ვიტ ჯორჯია** თბილისი | მუმლაძე (მთავარი მწვრთნელი), ჯანელიძე (მწვრთნელი) | ინწკირველი (კარვანი, აზერბაიჯანი), ჭურაძე (?), ვ. გოჩაშვილი (ბორჯომი) | ლომბარდ პაპა (უნგრეთი) 1:2, 0:1 |
| **დინამო** ბათუმი | *ნუცუბიძე (ტორპედო)* | თოთლაძე (დინამო), ხმალაძე (სიონი), ჩოხელი (ბორჯომი), დარჩიძე (სიონი), ბეგლარ თედორაძე (სიონი), გუშარაშვილი (ზესტაფონი), სოლოლაშვილი (?), ჩოხელი (?), ხუჯაძე (?), ხომერიკი (?) | |
| **სიონი** ბოლნისი | **ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), დვალი (დინამო), ქუცურუა (დინამო), ხმალაძე (ბათუმი), მარკოზაშვილი (დინამო), მერებაშვილი (უგუნდო)**, დ. ხანიშვილი (დილა), კ. ხანიშვილი (დილა), კუკულაძე (გურია), დონდოლაძე (სპარტაკი), მიკუჩაძე (კოლხეთი), **დარჩიძე (ბათუმი)** | რუსია (სოხუმი), **უგრეხელიძე (სოხუმი)**, დათვაძე (?), ისიანი (კარიერა დაასრულა), სიდამონიძე (?), ვაშაკიძე (?), დოლიძე (?, ლატვია), **ბ. შენგელია, ა. ლაბაძე (ორივე სოხუმი)** | ლოკომოტივი 1:6, ბორჯომი 0:5, თბილისი 3:4 |
| **კოლხეთი** ფოთი | | კუნჭულია (კახეთი), გიზო შენგელია (ლოკომოტივი), ჯ. შალამბერიძე (სოხუმი), აკობია (დინამო), ბათიაშვილი (?), მიკუჩაძე (სიონი) | |
| **დილა** გორი | *ხაჩიძე (მთავარი მწვრთნელი)* | მამესნარაშვილი (მთავარი მწვრთნელი), თ. ილურიძე (ცხინვალი), მაისურაძე (ცხინვალი), **ბ. ჩიტაია (ცხინვალი), გ. ჩიტაია (ცხინვალი), სულთანიშვილი (ცხინვალი)**, ლ. გოჩაშვილი (ცხინვალი), ხაჭაპურიძე (ცხინვალი), ლ. თურმანიძე (ცხინვალი), დ. ნადირაძე (ცხინვალი), რევაზიშვილი (ცხინვალი), ა. ლაბაძე (ცხინვალი), კ. ხანიშვილი (სიონი), დ. ხანიშვილი (სიონი) | |
| **ამერი** თბილისი | ტატანაშვილი (სპარტაკი), ნიკურაძე (კტპ, ფინეთი) | ზ. ჯელაძე (?), გ. ჯელაძე (?) | გაგრა 0:1 |
| **ბორჯომი** ბორჯომი | მამალაძე (დინამო), მამარდაშვილი (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ტორპედო), ბაქრაძე (ტორპედო), ჩიგოშვილი (?), ქორიძე (ოლიმპიაკოსი, კვიპროსი), დარსანია (ჩერნო მორე, ბულგარეთი), მიქიაშვილი (თბილისი), გენაძე (თბილისი), მემარნიშვილი (ტორპედო), ჩოხელი (ბათუმი), *პაპიძე (უგუნდო), მესხი (თბილისი), ვ. გოჩაშვილი (ვიტ ჯორჯია)* | კვეკვესკირი (სოხუმი), *ლაბაძე (?), ვოლკოვი (?), ჯანაშია (?), ვარდიაშვილი (?), მუშკუდიანი (?), ნოზაძე (?), როსტიაშვილი (?), ნივნივაძე (?)* | სიონი 5:0, სოხუმი 0:1 |
| **დინამო** სოხუმი | ყორყოლიანი (მთავარი მწვრთნელი), კვეკვესკირი (ბორჯომი), გუჩუა (ზესტაფონი), რუსია (სიონი), **უგრეხელიძე (სიონი)**, ჯ. შალამბერიძე (კოლხეთი), *გადელია (უგუნდო)*, ჟვანია, ჯანგიძე (ორივე სპარტაკი), სეფიაშვილი (მერანი), ა. ლაბაძე, ბ. შენგელია (ორივე სიონი), **ჩომახიძე (ჩიხურა), გ.ჩხაიძე (ჩიხურა)** | | ბორჯომი 1:0 |
| **კახეთი** თელავი | კვიტაიშვილი (დინამო), კუნჭულია (კოლხეთი), მძინარიშვილი (ლოკომოტივი), | | |
| **ცხინვალი** ცხინვალი | მაისურაძე (დილა), თ. ილურიძე (დილა), სულთანიშვილი (დილა), ხაჭაპურიძე (დილა), ლ. თურმანიძე (დილა), დ. ნადირაძე (დილა), რევაზიშვილი (დილა), **ბ. ჩიტაია (დილა)**, ა. ლაბაძე (დილა), **გ. ჩიტაია (დილა)**, ლ. გოჩაშვილი (დილა), ნაყოფია (?), გამცემლიძე (?), თაყაძე (კოლხეთი) | | |
| **სპარტაკი** თბილისი | | ტატანაშვილი (ამერი), ლონდოლაძე (სიონი), ჯანგიძე, ჟვანია (ორივე სოხუმი) | |

**მუქი შრიფტით:** გადაწყვეტილი ტრანსფერი, ღია შრიფტით: თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი, *დახრილი შრიფტით:* სავარაუდო ტრანსფერი



სტივენ ჯერარდმა „ლივერპულიდან“ წასვლა მოთხოვა

# სტივ, არ გინდა ეგეთები

## პერიმ 32 მილიონი გირვანქა იუარა

*სტივენ ჯერარდი „ენფილდისგან“ უკვე ზურგით დგას: მის აგენტებს ჩაეშალათ მოლაპარაკებები „ლივერპულთან“ ახალი კონტრაქტის თაობაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ჩელსი“ და მადრიდის „რეალი“ 25 წლის ლივერპულელისთვის ბრძოლაში ჩაებნენ*

**„ჩელსიმ“** ინგლისისათვის სარეკორდო, 32 მილიონი გირვანქის გადახდა გადაწყვიტა, რითაც მადრიდელთა შეჩერებას იმედოვნებს. თუმცა „რეალმა“ მაინც დაადასტურა, რომ ჯერარდი სატრანსფერო სიაში ჰყავს. კლუბის საფეხბურთო დირექტორმა, არიგო საკიმ თქვა: „ჩვენ ჯერარდი გვინდა, „ჩელსისთან“ კი არაფერზე გვილაპარაკია. რაზე უნდა ველაპარაკოთ, როცა ერთი ფეხბურთელისთვის ვიბრძვით?“ აქამდე საქმე ისე იყო, რომ „ჩელსი“ მხოლოდ 20 მილიონ გირვანქას იხდიდა ჯერარდში, რადგან ეგონა, „რეალი“ საქმეში აღარ ჩაებმებაო.

„რეალი“ ყოველკვირეული ხელფასის გაორმაგებას ჰპირდება „ლივერპულის“ კაპიტანს, რაც კვირაში 130 ათასი გირვანქა გამოვა. „ჩელსის“ კი მხოლოდ 90 ათასის მიცემა შეუძლია — ასეთია ფრენკ ლამპარდის ხელფასი კლუბში.

ამასობაში, „ლივერპულის“ შეფი რიკ პერი აცხადებს: „გაოცებული ვართ იმ კომენტარებით, სტივ ჯერარდმა რომ გააკეთა პრესაში. თითქოს ჩვენ მოლაპარაკება არ გვინდა. რაფა ბენიტესს სტივი ძალიან სჭირდება და იანვრიდან ამას გავიძახით. ორიოდე დღის შეყოვნების გამო კი ასეთი ამბის ატეხვა არ შეიძლება. ფული არ არის მიზეზი. ჩვენ ფული არ გვიჭირს. ვფიქრობთ, მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება“.

თვით რაფამ კი თქვა: „გასულ სეზონში სამჯერ ვცადე ლაპარაკი სტივთან ახალი კონტრაქტის შესახებ. მითხრა, მოვიცადოთო“.

მოკლედ ისე ჩანს, რომ სტივენ ჯერარდს წასვლა უნდა და ამას ისე აკეთებს, თითქოს „ლივერპული“ მასთან კონტრაქტის განახლებას გაურბოდეს. სხვანაირად, ჯერარდს ფანობის წინაშე ღირსების შენარჩუნება სურს.

ამასობაში კი „ლივერპულმა“ ოთხი ახალი ფეხბურთელი გვარი ოფიციალურად გამოაცხადა: ჰოლანდიელი ბუდევინ ზენდენი „მიდლსბროდან“, „ვილიარეალის“ მეკარე ხოსე მანუელ რეინა, „სევილიას“ ახალგაზრდა მცველი ანტონიო ბარაგანი და ჩილელი გარემარბი მარკ გონსალესი.

„ესპანეთის საუკეთესო მეკარე, ჩილეს საუკეთესო ფეხბურთელი, „მიდლსბროს“ ლიდერი ზენდენი. აი, ვინც ვიყიდეთ — თქვა რაფამ — გუნდს ვაძლიერებთ, რად გვინდა ჯერარდის წასვლა? მეტიც, ჩვენ ის გვჭირდება და ლამის ჩემს მოადგილეობას ვთავაზობთ. მეტი რა ვქნათ?“

ასე რომ, საქმე მაინც აბლანდულია. უახლოეს ორ-სამ დღეში ყველაფერი გაირკვევა.

ამ ისტორიის გუშინდელი უკანასკნელი ცნობა ის არის, რომ „ლივერპულის“ შეფმა რიკ პერიმ უარყო „ჩელსის“ 32 მილიონიანი წინადადება.

სალამოს პირზელა გახდა ცნობილი, რომ ჯერარდს ისეთი პირობები შესთავაზეს, როგორც „ლივერპულს“ არასდროს არავისთვის შეუთავაზებია. ახლა ჯერი თავად ფეხბურთელზეა, რომელსაც, მაინც დაუჩემებია სხვაგან უნდა წავიდეო.

**ირაკლი გამყრელიძე**



# ენდი გრეი

Britain's Best Football Pundit

# ხელთათმანი გარტყმულია, პასუხს ველით



დიდიე დროგბა „ჩელსის“ თავდასხმაში სუპერმეწყვილეს საჭიროებს

**ეჭვი** არ არის, დღევანდელი „ჩელსი“ პრემიერლიგაში, წლების განმავლობაში ნანახ საუკეთესო გუნდებს ტოლს არაფერში უდებს, მაგრამ ის, რომ ლონდონელები გასულ სეზონში ჩემპიონები გახდნენ, სულაც არ ნიშნავს, თითქოს მომავალ სეზონშიც შეძლებენ იმავე შედეგის გამეორებას.

ისტორია გვაჩვენებს: არ არსებობს არანაირი გარანტია საიმისოდ, რომ წინა წლის გამარჯვებული შემდეგ წელიწადსაც ჩემპიონი გახდეს. მაგალითიც აქვეა, საკმარისია გავიხსენოთ, როგორ ცდილობდა „არსენალი“ ზედიზედ გაჩემპიონებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

მართლაც, ტიტულის ერთიმეორის მიყოლებით მოგება, უკიდურესად ძნელი საქმეა. წინა წლის გამარჯვებული, შემდეგ ჩემპიონატში სამიზნეა და საყოველთაო ზეწოლას განიცდის. გარდა ამისა, სხვა კლუბებმა იციან, რას უნდა მოელოდნენ მისგან.

ვიხსენებ რა გასულ სეზონს, აშკარად ვხედავ, რომ „ჩელსიმ“ „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ მოულოდნელობის, სიურპრიზის ანკესზე გამოიჭირა. ეჭვი არ მეპარება, რგორც ერთი, ასევე მეორე დარწმუნებული იყო, რომ „ჩელსის“ ჩემპიონატის მსვლელობისას ფეხი დაუცდებოდა, უფრო მეტს წააგებდა, ვიდრე წააგო, მაგრამ ასე არ მოხდა. მან ყველას აურია გზა-კვალი, შემოდგომაზე „მანჩესტერ სიტისთან“ დამარცხების შემდეგ არ წაუგია და დაკარგვითაც თითზე ჩამოსათვლელი ქულები დაკარგა. მოკლედ, ეს ფენომენალურ შედეგთა სერია იყო და ამის დასტურად, ასეთი ფაქტის მოყვანა შეგვიძლია: „არსენალს“ თავისი წინა წლის ლაშქრობა ამ სეზონშიც რომ გაემეორებინა, საბოლოო ცხრილში მაინც „ჩელსიზე“ უკან იქნებოდა სამი ქულით.

ახლა ისა ვთქვათ, თუ რა აწუხებთ ლონდონელთა მეტოქეებს ამ ეტაპზე. რა და ის, რომ რომან აბრამოვიჩის მილიარდებით ჟოზე მაურინიუ ზემოაღწერილ „ჩელსის“ კიდევ უფრო გააძლიერებს. ჟოზემ ხომ კარგად იცის, რომ დღე, როდესაც ჩათვლი, რომ გასაუმჯობესებელი აღარაფერია, უკანსვლის დაწყების დღეა.

მაგრამ, მეორე მხრივ ის, რომ ჟოზე გუნდის გაძლიერებას შეუდგება და საამისოდ თანხა დაიხარჯება, სულაც არ ნიშნავს რომ „ჩელსი“ გაძლიერდება.

ბევრისგან მსმენია, თითქოს გასულ სეზონში „ჩელსიმ“ ჩემპიონის ტიტული იყიდა (აქ აუცილებლად უნდა განვმარტოთ, რომ ენდი გრეი სიტყვაში „იყიდა“, არ გულისხმობს უკანონო ხერხით რაიმეს „დახლქვეშიდან“ დასაკუთრებას. აქ საუბარია საუკეთესო მწვრთნელის, მენეჯერებისა და ფეხბურთელების შესაძენად დახარჯულ დიდ თანხებზე ანუ იმაზე, რომ „ჩელსის“ ინგლისის ჩემპიონობისთვის თავისი წილიდან არ მიუღწევია, მთელი რესურსები გარედან მოიზიდა) მაგრამ მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები, რადგან კლუბები ამას დასაბამის დღიდან ცდილობენ. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მაგალითად, ათი წლის განმავლობაში მილიონები და კიდევ მილიონები დახარჯა, მაგრამ საყოველთაოდ გამოჩნდა, რომ ფული ჩემპიონობის გარანტია არანაირად არ არის. ასე რომ, ჯობს ნუ შევცდებით და ნუ გვეგონება, რომ ამ ზაფხულს „ჩელსი“ დიდძალ თანხას გაიღებს და მომავალ სეზონშიც მოიპოვებს პრემიერლიგის ტიტულს.

და მაინც, რომელ რგოლში უნდა გაძლიერდეს „ჩელსი“? დადასტურდა ეჭვი, რომ თითქოსდა ხაზგასმით ძლიერი დაცვის მიუხედავად, მას მარცხენა მცველი სჭირდებოდა. დადასტურდა ისიც, რომ ლონდონელები უმაღლესი კლასის ცენტრფორვარდს ეძებენ. გასული ზაფხულს, 24 მილიონ გირვანქად შეძენილი დიდიე დროგბა ზოგ თამაშში უბრალოდ, იკარგებოდა. მისი მდგომარეობა აქა-იქ ტრავმებმაც გაართულა და კიდევ, ხშირად მარტო იყო შეტევაში გადატყორცნილი. ყოველივე ამასთან ერთად კი ნუ დაგვავიწყდება, რომ გასული სეზონი დიდიე დროგბასთვის პრემიერლიგაში პირველი გახლდათ, ხოლო პირველი პრემიერლიგური სეზონი რომ ძნელია, ეს ბევრი უწინდელი მაგალითითაც ვიცით.

თუმცა, ჯამში დროგბას თამაში დამაკმაყოფილებელი გახლდათ და ეჭვი არაა, შემდეგ სეზონში ეს ფეხბურთელი უფრო გამოიჩენს თავს.

ასე და ამგვარად, ჩვენ ვიხილავთ საკითხს, რას და როგორ გააკეთებს „ჩელსი“, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა, რა პასუხს გასცემს მას „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“. აშკარაა, ბოლო ათი წლის განმავლობაში პრემიერლიგაში მეტოქეობა ამ ორ გუნდს არ მოეწონებოდა, რომ უეცრად საიდანღაც მესამე გამოჩენილა და ბატონობაში შეეცილა.

„არსენალის“ კარგი ფეხბურთელები ეზრდება — მე მაგალითად ძალიან მომწონს ფილიპ სენდეროსი — მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ გუნდმა ამ ზაფხულსაც უნდა იყიდოს ახალი მოთამაშეები.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ პრობლემა კი, რამდენადაც გარედან ჩანს ის არის, რომ სერ ალექს ფერგიუსონს ტრანსფერებისთვის გამოყოფილი თანხა უკვე რუნიზე უნდა ჰქონდეს უკვე დახარჯული.

ვფიქრობ, „იუნაიტედს“ მაღალი კლასის ნახევარმცველი სჭირდება, მაგალითად სტივენ ჯერარდი, თუმცა რამდენად მოისურვებს ჯერარდი მანჩესტერში გადასვლას, მეორე საკითხია.

მაგრამ, რას გააკეთებენ „არსენალი“ და „იუნაიტედი“, ეს მათი გადასაწყვეტია. „ჩელსიმ“ მათ ხელთათმანი უკვე გაარტყა სახეში და ჰკითხა: პასუხის გაცემა შეგიძლიათ? შეუძლიათ თუ არა, დრო გვიჩვენებს

# ვიერის და ჯილარდინოს FINITA LA COMMEDIA



კრისტიან ვიერისთან ერთად „მილანში" მალე ალბერტო ჯილარდინოც გადავა



**„ინტერიდან"** უეცრად წასულ კრისტიან ვიერის „მილანი" დაეპატრონა. თავისუფალ აგენტად ქცეული ფორვარდის სანაცვლოდ „შავ-წითლებს" ფული არ გადაუხდიათ. გუშინ ვიერიმ „მილანთან", მას შემდეგ, რაც სამედიცინო შემოწმება გაიარა, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ხელფასის სახით წელიწადში 3,5 მილიონ ევროს მიიღებს.

32 წლის ფეხბურთელი ამჟამად შვებულებაშია და სარდინიაზე ისვენებს, კონტრაქტის ამბები კი მისმა აგენტმა მოაგვარა. მიუხედავად იმისა, რომ ვიერის უცხოური კლუბებიც ეპატიჟებოდნენ, მეგოლემ ქალაქის გამოცვლა არ ისურვა და „სან სიროზე" დარჩა.

ეს ერთი ტრანსფერი „მილანმა" უკვე გაჩარხა, ახლა ჯერი ალბერტო ჯილარდინოზეა. პარმელები გუშინ ადრინო გალიანის და არიედო ბრადას უნდა შეხვედროდნენ. ჯილარდინოც დასასვენებლად ყოფილა, მისმა აგენტმა ბეპე ბონეტომ კი განაცხადა: „ფეხბურთელის ჩამოსვლისთანავე ყველაფერი გაირკვევა. „მილანისგან" საბოლოო წინადადებას ველით".

23 წლის პარმელი თავდამსხმელის გადაბირება „ინტერსაც" სდომებია და ეს მასიმო მორატიმ დაადასტურა კიდეც: „ჯილარდინოს შეძენაზე ვფიქრობდით, მიუხედავად იმისა, რომ გუნდი თითქმის ბოლომდე დაკომპლექტებულია, მაგრამ, როცა საქმე კარგ ფეხბურთელს ეხება, ჩვენ მაინც ვეცდებით".

„ჯენოაში" გადასული კრისტიან აბიატის ნაცვლად კი „მილანმა" 28 წლის ბერძენი მეკარე დიმიტრიოს ელეფთეროპულოსი შეიძინა და ერთწლიან კონტრაქტზე მოურიგდა. ელეფთეროპულოსმა გასული სეზონი „მესინაში" გაატარა და მხოლოდ ათჯერ ითამაშა.

და ბოლოს: „მილანიდან" საფრანგეთში დაბრუნდა ვიკაშ დორასო. თავიდან „მარსელს" სურდა 31 წლის ნახევარმცველის ყიდვა, მაგრამ დორასომ პსჟ არჩია და ახლა კლუბთან შეთანხმებას მიაღწია. პარიზელებმა „შავ-წითლებს" 3 მილიონი ევრო გადაუხადეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მხოლოდ რამდენიმე დღე
## ინტერი არგენტინელებით ივსება





ამბობენ, სანტიაგო სოლარი და ვალტერ სამუელი „ინტერში" ერთად გადავლენო

**მილანის** „ინტერს" მადრიდის „რეალიდან" ვალტერ სამუელისა და სანტიაგო სოლარის გადაბირების საქმე ცოტა გაუჯანჯლდა, მაგრამ „შავ-ლურჯები" დარწმუნებულნი არიან, რომ არგენტინელები მალე მათ გუნდში აღმოჩნდებიან. გუშინწინ ინტერელები კარგა ხანს ესაუბრნენ ფეხბურთელთა აგენტ ერნესტო ბრონძეტის.

„მხოლოდ რამდენიმე დღეღა დარჩა ტრანსფერის საბოლოოდ მოგვარებამდე" — განაცხადა მილანელთა პრეზიდენტმა ჯაჩინტო ფაკეტიმ.

უკვე თითქმის ორი წელია, „შავ-ლურჯები" სანტიაგო სოლარის „გარს უვლიან" და ამჯერად ალბათ ხელიდან აღარ გაუშვებენ. რაც შეეხება ვალტერ სამუელს, ჯერჯერობით გაურკვეველია, არგენტინელ მცველს „ინტერი" იქირავებს თუ იყიდის.

გარკვეული კი ისაა, რომ ინტერელი საბრი ლამუში „მარსელში" გადავა. 32 წლის ფრანგმა რობერტო მანჩინის გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა და გასულ სეზონში ამიტომაც გააქირავეს „ჯენოაში" — „ოსერის", „მონაკოსა" და „პარმას" ყოფილი ნახევარმცველი „მარსელთან" შეთანხმდა, ხოლო მის სანაცვლოდ „ინტერი" ალბათ დიდძალ ფულს არ მოითხოვს.

**ვაჟა ხუციშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოვანი ტრაპატონი მეუღლეს გამოუტყდა, რომ ფეხბურთი მასზე მეტად უყვარს

# ცოლი თუ ფეხბურთი?

**· პორტუგალიის** ჩემპიონატის მოგების შემდეგ ლისაბონის „ბენფიკას" თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას აღარ აპირებდა.

სამშობლოში დაბრუნებულმა იტალიელმა ოჯახთან ერთად დასასვენებლად გასწია, მაგრამ სიტყვა გატეხა და „შტუტგარტი" ჩაიბარა, ანუ კვლავ საყვარელ საქმეს დაუბრუნდა. ტრაპატონის უთქვამს, რაკი სიტყვა გავტეხე, ცოლს შევპირდი, რვა დღეს შენთან ერთად გავატარებ, ოღონდ მაპატიეო.

„შტუტგარტთან" კონტრაქტის გაფორმებიდან თითქმის სამი კვირა გავიდა, გერმანიაში კი ჯოვანი ტრაპატონის „ნასროლ" ფრაზას არჩევენ. მას პირდაპირ ეთერში წამოსცდენია, ცოლზე მეტად ფეხბურთი მიყვარსო.

როგორც ჩანს, „ტრაპს" გერმანიაში მიმდევრები გამოუჩნდნენ — 17 წლის გოგომ, ბრემენის „ვერდერის" ფანმა, ვინმე მარლენმა, „ბილდს" განუცხადა, მეგობარ ბიჭთან ყოფნას ხანდახან „ვერდერის" თამაშის ნახვას ვამჯობინებო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რომა სამ კაცზე
## პატივცემულები: კივუ, ტომაზი და ტოტი



კრისტიან კივუ

**კრისტიან კივუ** „რომაში" რჩება. ეს მისმა აგენტმა ანდრეა პრეციმ დაადასტურა. მოგეხსენებათ, რუმინელი მცველი ტურინის „იუვენტუსსა" და მილანის „ინტერს" სურდათ, მაგრამ კივუ გუნდიდან წასვლას არ აპირებს.

„მისი დარჩენის სურვილი „რომას" მხრიდან დიდმა პატივისცემამ განაპირობა — განაცხადა აგენტმა — რამდენიმე კლუბმა მოგვმართა კივუს თაობაზე, თუმც რომაელები არ გაუშვებენ, რადგან სწორედ რუმინელის, ფრანჩესკო ტოტისა და დამიანო ტომაზის გარშემო აპირებენ ახალი გუნდის აშენებას".

რაც შეეხება ნახსენებ ტომაზის, მას „რომასთან" კონტრაქტის ვადა გასულ კვირას ამოეწურა, მაგრამ ანდრეა პრეცის თქმით, იტალიელი ნახევამცველისთვის ახალი კონტრაქტი უკვე გაამზადეს.

„მისთვის ფული მთავარი არაა — განმარტა პრეციმ — იგი წელიწადში თუნდაც 70 ათასი ევროს სანაცვლოდ თამაშზეც დათანხმდება. მთავარია, რომ დამიანო ტომაზის აქ აფასებენ და გუნდის ერთ-ერთ მთავარ ფეხბურთელად მიიჩნევენ. ჩემი აზრით, კლუბი ყველაფერს გააკეთებს იტალიელის დასატოვებლად".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბონდი არ პასუხობს

**„პარმამ"** ოფიციალურად განაცხადა, რომ შვეიცარიულ კომპანია „რიალტო ჰოლდინგთან" მოლაპარაკება ჩიხში შევიდა და კლუბს ახალი პატრონი ჯერ არ ჰყავს.

პარმელები კომპანიისგან წინასწარ კრედიტს ელოდნენ, მაგრამ ფული ვერ მიიღეს, „რიალტო ჰოლდინგის" მფლობელი გაეტანო ვალენცა კი საპირისპიროს ამტკიცებს: „ფეხბურთის კლუბ „პარმას" ამჟამად ადმინისტრაციული წესით მისტერ ბონდი მართავს, რომელსაც ვერაფრით დავუკავშირდით. ის არ გვპასუხობს. 25 მილიონი ევრო გამზადებული გვაქვს, თუმც კლუბში რამე თუ შეიცვალა, მზად ვართ, ჩვენც შესაბამისად მოვიქცეთ, ანუ მოლაპარაკების გაგრძელება გვსურს".

შეგახსენებთ, რომ „პარმალატის" ფინანსური სკანდალის გამო „პარმა" ადმინისტრაციულად იმართება და უკვე კარგა ხანია, ახალ სპონსორს ეძებს. გაეტანო ვალენცა იმასაც ამტკიცებს, გუნდისთვის მწვრთნელიც კი გამზადებული მყავსო. ლაპარაკი სამიდან ერთზეა, სამეული კი ეს გახლავთ: ზდენეკ ზემანი, ფრანკო ბალდინი და ჯოვანი გალი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რეალზე შეყვარებული რობინიო სანტოსს გაექცა

„სანტოსის" მეთაური რობინიო გაფიცვას აგრძელებს. მადრიდის „რეალში" გადასვლის მსურველმა ფორვარდმა გუნდთან ვარჯიში იუარა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელს მადრიდის „რეალში" თამაში უნდა, კლუბის პრეზიდენტი კი არ უშვებს.

კონფედერაციათა თასზე გამარჯვების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა რობინიომ უკვე ორი ვარჯიში გამოტოვა და „სანტოს" — „ფუეჩტეუდეს" მატჩსაც არ დაესწრო. ყმაწვილკაცს არავინ გაუფრთხილებია, ისე გააცდინა თავისი გუნდის თამაში. ცხადია, „სანტოსი" რეჟიმის დარღვევისთვის ფეხბურთელს დააჯარიმებს.

„ვარჯიშებზე მანამდე არ ვივლი, სანამ მადრიდში ჩემი გადასვლის საკითხი არ მოგვარდება. მე შევპირდი „რეალს", რომ მათთან ვიქნები და სიტყვას ვერ გავტეხ. არ შემიძლია თამაში, რადგან თავში მხოლოდ „რეალი" მტრიალებს" — განაცხადა რობინიომ.

ფორვარდმა ისიც თქვა, „სანტოსის" პრეზიდენტ მარსელო ტეიშეირას შევხვდი და ვთხოვე, გუნდიდან გამიშვას, მაგრამ მასთან საუბრით უკმაყოფილო ვარ: „მადრიდელთა შემოთავაზებული თანხა, 25 მილიონი ევრო საკმაოდ დიდი ფულია".

ფეხბურთელის აგენტი ვაგნერ რიბეირო ამტკიცებს, ჩემს კლიენტს დასვენება უნდა და ვარჯიშსაც ამიტომ აცდენსო, ხოლო „სანტოსის" ადმინისტრატორი ლუის ენრიკე დე მენდეში გაბრაზებულია: „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. კლუბთან დაპირისპირებით რობინიოს იმიჯი ილახება. მას „სანტოსთან" კონტრაქტი აქვს და ვინმეს ჩვენი ფორვარდის ყიდვა თუ უნდა, 50 მილიონი დოლარი გადაიხადოს. ეს ხომ ძალიან მარტივია".

გუნდის მთავარი მწვრთნელი მარსელო გალიო კი ფიქრობს, რომ რობინიოს არ გაუშვებენ. გალიომ ამის შესახებ ტეიშეირასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

**ზაზა ხუციშვილი**



რობინიომ „სანტოსის" უფროსობა გააბრაზა


კამელ მერიემი (№6) კარიერას სავარაუდოდ „სევილიაში" გააგრძელებს

# ესეც მონჩი და მორჩი!

საფრანგეთის ნაკრებისა და „ბორდოს" გამთამაშებელი კამელ მერიემი „მონაკოში" ან „მარსელში" კი არა, საზღვარგარეთ, კერძოდ კი ესპანურ „სევილიაში" მიდისო, ამბობენ.

როგორც წამყვანი ფრანგული სპორტული გაზეთი „ლეკიპი" წერს, ფეხბურთელი „ბორდოს" ახალ მწვრთნელთან, რიკარდოსთან მისული და უთქვამს, გუნდში დარჩენა აღარ მინდაო. აშკარაა, რომ ბრაზილიელი მწვრთნელი მერიემს 4-4-2 სისტემაში განაპირა ნახევარმცველობას უპირებდა, მოთამაშე კი კატეგორიულია და ამბობს, რომ მისი ადგილი მოედნის შუაშია.

ამასობაში კი „სევილიას" სპორტული დირექტორი „მონჩი" როდრიგეს ბერდეხო საფრანგეთში ჩაბრძანდა 25 წლის ადგილობრივი მასშტაბის ვარსკვლავთან გასასაუბრებლად. „მონჩის" ჩანთაში 8 მილიონი დოლარი უდევს და ამბობენ, რომ ამ კვირაშივე აპირებს ამ ჩემოდნის მერიემში გაცვლას.

„სევილია" გასულ სეზონში ესპანურ „ლა ლიგაში" მეშვიდე გახლდათ, ხოლო ახალი სეზონისთვის მზადებას ზეგ იწყებს. აღსანიშნავია, რომ სევილიელები აქამდე „ბორდოსთვის" 6 მილიონის გადახდას აპირებდნენ, მაგრამ უარი მიიღეს.

**პაატა ქედია**

# ჰელვეგი ბორუსიაში გამოჩნდა


თომას ჰელვეგი

დანიის ეროვნული ნაკრების მცველმა თომა ჰელვეგმა მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" გააფორმა კონტრაქტი. 34 წლის ფეხბურთელი გერმანულ კლუბს ინგლისური „ნორვიჩიდან" შეუერთდა.

თომა ჰელვეგი გერმანიაში გუშინ ჩავიდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და 2-წლიან ხელშეკრულებასაც მერე მოაწერა ხელი.

შეგახსენებთ, დანიის ნაკრების ყოფილ კაპიტანს „ნორვიჩამდე" იტალიურ კლუბებში — „უდინეზე", „მილანი", „ინტერი" — უთამაშია ასე რომ, თომას ჰელვეგისთვის მიონხენგლადბახის „ბორუსია" პროფესიულ კარიერაში რიგით მეხუთე გუნდია.

**გიორგი გაფაკიძე**

# აი, სეირი!

### მიდი, მოადე

ესპანეთის ქალაქ ალმერიაში მიმდინარე ხმელთაშუა ზღვის თამაშების სანახავად შეკრებილმა მაყურებელმა ფეხბურთელთა შეჯიბრების ნახევარფინალში სანიმუშოდ საძაგელი თამაში იხილა — მსაჯმა ჟოაო ფრანსისკო ლოპესმა ესპანელების და იტალიელების შეხვედრაში შვიდი წითელი ბარათი ამოიღო, რის გამოც მატჩი შეწყდა.

ვინ იცის, პირველი ტაიმის დამთავრების ანუ აქეთ-იქიდან თითო მოთამაშის გაგდების შემდეგ, პორტუგალიელმა არბიტრმა შუბლიდან ოფლიც კი მოიწმინდა და თქვა, ეს რა რთული ტაიმი მერგოო, მაგრამ ჯერ სად იყო. შესვენების შემდეგ მოედანზე ორი წუთის შესული არ ბრძანდებოდა, რომ კიდევ ერთმა იტალიელმა იუხეშა, მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა და მოედნიდან გასაძევებელი შეიქნა. კეთილი, ამასაც აიტანდა კაცი, მაგრამ აი, დადგა 78-ე წუთი, ესპანელებმა მეორე გოლი გაიტანეს და ნამდვილი საშინელებაც მერე დაიწყო. აქამდე, სანამ ჩვენი ერთი ფეხბურთელი ტრავმის გამო წაქცეული იყო, გოლი როგორ გაიტანეო, ორი იტალიელი გოლის ავტორ მანუ ფერნანდესს მივარდა და ჩხუბი აუტეხა. ლოპესს სხვა გზა არ ჰქონდა, საქმეში ჩაერია და იტალიელთაგან ორი, ხოლო ესპანელთაგან ერთი გიჟმაჟი გააძევა ანუ პირველნი მოედანზე შვიდნი, ხოლო მეორენი ცხრანი დატოვა. და მაინც, თამაშის ასე გაგრძელება და ჩამთავრება შეიძლებოდა, საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე კიდევ ერთ იტალიელს რომ არ გაეგიჟებინა თავი...

თამაში შეწყდა. ფინალში ესპანეთი ლიბიას ხვდება.

### ქუჩის ბიჭი

„მანჩესტერ იუნაიტედმა" მოგეხსენებათ, კორეელი ფეხბურთელი ჯი-სუნგ პარკი იყიდა, მან კი მშობლიურ ქალაქში მისი სახელობის ქუჩის გახსნა იზეიმა. ჰოდა, ამიერიდან იცოდეთ, თუ კორეაში ჩახვალთ და ქალაქ სუვონში მოხვდებით, აუცილებლად უნდა შეიაროთ 24 წლის ბიჭის სახელობის ქუჩაზე.



საინტერესოა, რომ ასეთი დიდი აღიარების მიუხედავად, ყოფილი ეინდჰოვენელი თავს დევიდ ბექჰემის დონის ვარსკვლავად არ გრძნობს.

„ისეთი ლამაზი კაცი რომ ვიყო, როგორიც ბექჰემია, იქნებ კიდეც ვყოფილიყავი მისნაირად პოპულარული, მაგრამ ეს კიდევ ცალკე იყოს და არა მგონია, ბექჰემის დონის ფეხბურთი ოდესმე ვითამაშო" — ამბობს პარკი.

### ბიჭის ბეჭი

„ლივერპულს", სტივ ჯერარდის დატოვების შემთხვევაში, მისთვის საგანგებო პროგრამა აქვს მომზადებული. კერძოდ, გუნდის ჯვარედის ბეჭების სიგანე და მუსკულატურა არ აკმაყოფილებს და მდგომარეობის გამოსწორებას საგანგებოდ ამ ფეხბურთელისთვის მოფიქრებული ვარჯიშებით აპირებს.

ირლანდიაში კი მოგეხსენებათ, ფეხბურთს ზაფხულობითაც თამაშობენ, მაგრამ ამჯერად ეროვნული საზოგადოების ყურადღება ამით კი არა, ჩხუბით მიიპყრეს.

ეს ამბავი „შემროკ როვერსისა" და „შელბურნის" თამაშის დაწყების წინ მოხდა, ერთმანეთს მოულოდნელად დასახელებული გუნდის მწვრთნელი როდი კოლინზი და მეორის თავმჯდომარე ოლი ბირნი დაეტაკნენ. მიზეზი: თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე კოლინზმა რადიოში განაცხადა, ეგ „შელბურნი" წლეულს ჩემპიონი ვერ გახდება და საერთოდ, ვერავითარ ჯილდოს ვერ მოიპოვებსო.

საინტერესოა, რომ ბირნის კოლინზს ამის გამო ტანისამოსი შემოახია და საბრალოს მაისური თუ პერანგი ისევ შელბურნელმა კოლეგამ, მწვრთნელმა პატ ფენლონმა ათხოვა. აბა, თამაშზე შიშველი ხომ არ დაჯდებოდა? „შემროკმა" 2:1 მოიგო.

**პაატა ქედია**



კორეულ ქალაქ სუვონში ჯი-სუნგ პარკის სახელობის ქუჩა გაიხსნა

# ბლექბერნს ახალი ზელანდია დაიცავს




რაიან ნელსენი „ბლექბერნში“ დარჩა

**„ბლექბერნის“** ახალზელანდიელმა ლეგიონერმა რაიან ნელსენმა კლუბთან ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის სამუშაო ვიზა მიიღო.

ბრიტანელები ნელსენს ვიზას აღარ უგრძელებდნენ, რადგან ახალი ზელანდია ფიფას რეიტინგის ქვესკნელში იმყოფება. კლუბმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და შეფილდში შეკრებილმა საგანგებო კომიტეტმა 27 წლის ფეხბურთელს მუშაობის უფლება მისცა, რამაც „ბლექბერნის“ მწვრთნელი მარკ ჰიუზი ძალიან გაახარა.

უელსის ნაკრების ყოფილი თავკაცი ჰიუზი კმაყოფილია ნელსენის თამაშით, რომელიც გუნდში იანვარში ამერიკული მეიჯორ სოკერ ლიგის „ვაშინგტონიდან“ მიიღდა.

რაიან ნელსენი მარკ ჰიუზისთვის გასულ სეზონში განსაკუთრებული ფეხბურთელი იყო, რაკი დაცვაში კარგი თამაშით პრემიერლიგაში დასარჩენად მებრძოლ „ბლექბერნს“ მეტად დაეხმარა.

სწორედ ასეთი გულიანი გარჯისთვის დააჯილდოვეს ნელსენი ახალი კონტრაქტით.

„ეს ძალიან სასიამოვნო ამბავია ჩემთვის — თქვა მარკ ჰიუზმა — რაიანმა შესანიშნავად ითამაშა და გვსურდა, რომ გუნდში დაგვეტოვებინა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სოკრატესის შენაძენი

**საბერძნეთის** ნაკრებისა და ფრანგული „ბორდოს“ მცველი მიხალის კაპსისი პირეოსის „ოლიმპიაკოსში“ გადადის, რომელმაც გასულ სეზონში ქვეყნის ჩემპიონობა იზეიმა.

პირეოსელთა პრეზიდენტმა სოკრატეს კოკალისმა ეს განცხადება პრესკონფერენციაზე გააკეთა, სადაც გუნდის ახალი მწვრთნელი ტრონდ სოლიედი წარადგინა და იქვე აღნიშნა, კაპსისის ტრანსფერი საბოლოოდ ჯერი არ მოგვარებულაო: „ჩვენ სერიოზული კლუბი ვართ და სანამ ყველაფერი არ გადაწყდება, დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვით“.



მიხალის კაპსისი „ოლიმპიაკოსში“ ითამაშებს

ევროპის ჩემპიონმა მიხალის კაპსისმა გასული სეზონი „ბორდოში“ გაატარა და 29 მატჩი ითამაშა. მანამდე კი ექვსი წელი ათენის აეკ-ში იყო. მას „ბორდოსთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და სოკრატეს კოკალისმა თავი ალბათ ამიტომაც დაიზღვია. თუმც ბერძნული მედიის ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ კაპსისი „ოლიმპიაკოსთან“ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გულს მიჰყვა
## პრეზენტაცია ჯინსით



ტორე ანდრე ფლო ნორვეგიაში დაბრუნდა

**ნორვეგიის** ნაკრების ფორვარდი ტორე ანდრე ფლო სამშობლოში დაბრუნდა და „ვოლერენგასთან“ წლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა — გუშინწინ საღამოს ოსლოურმა კლუბმა ფანებს ახალი ფეხბურთელი „ოდ გრენლანდთან“ მატჩის შესვენებისას წარუდგინა. ჯინსებში გამოწყობილმა ფლომ „ვოლერენგას“ 23-ნომრიანი მაისურა გადაიცვა, მოედანზე გავიდა და ბურთით წაიჯამბაზა, რამაც გულშემატკივრები ძალიან გაახარა.

„მე გავაკეთე ის, რაც მინდოდა — განაცხადა ფეხბურთელმა — გულისთქმას დავუჯერე და სამშობლოში ჩამოვედი. ძალიან მსურს, რომ „ვოლერენგასთან“ ერთად რამე ჯილდო მოვიგო“.

ლონდონური „ჩელსის“, გლაზგოს „რეინჯერსისა“ და „სანდერლენდის“ ყოფილმა მეგოლემ ბოლო ორი სეზონი სერია A-ს „სიენაში“ გაატარა. მისი გადაბირება რამდენიმე კლუბს ეწადა, მაგრამ მან ნორვეგიაში დაბრუნება არჩია. ტორე ანდრე ფლოს „რუსენბორგიც“ ეპატიჟებოდა, თუმც დედაქალაქის კლუბში თამაში ისურვა.

ვარაუდობენ, რომ ტორე ანდრე ფლოს დებიუტი 23 ივლისს, „ჰამ კამთან“ საშინაო მატჩში შედგება.

**ვაჟა ხუციშვილი**



ტარიბო ვესტს ევროპული ფეხბურთი ისევ მოენატრა

# პატარა პლიმუთი ნიგერიული რქებით

**კიკინიანი** ნიგერიელი ტარიბო ვესტი ყატარის „ალ არაბიდან“ ევროპაში დაბრუნდა და ინგლისის ჩემპიონლიგის „პლიმუთში“ ითამაშებს.

ამ ტრანსფერით პლიმუთელებმა ბრიტანეთი გააოცეს, მაგრამ მანამდე მათ შვედური პასპორტის მქონე სერბი ბოჯან ჯორდიჩიც გადაიბირეს, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედშიც“ ყოფილა, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაშიც“ და გლაზგოს „რეინჯერშიც“. ეს კი ნიშნავს, რომ „პლიმუთს“ საკმაოდ სქელი ქისა აქვს და პრემიერლიგაში გადასვლაზე ფიქრობს.

31 წლის ტარიბო ვესტმა ევროპული კარიერა „ოსერში“ დაიწყო, საიდანაც „ინტერში“ გადავიდა, შემდეგ „მილანში“ აღმოჩნდა, იქიდან „დერბი ქაუნთიში“, მერე კი „კაიზერსლაუტერნში“ გააგრძელა თამაში და ბოლოს ბელგრადის „პარტიზანის“ მაისურაც მოირგო. ნიგერიის ნაკრების ყოფილი წევრი ბელგრადიდან ყატარში გადაბარგდა და „ალ არაბისთან“ სარფიანი კონტრაქტიც გააფორმა, თუმც საბოლოოდ ევროპა მოენატრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ციუ, ტონი!
## რად თაღლითობ პანტალეო?

**„პალერმომ“** დაადასტურა, რომ თუ გამოჩნდება გუნდი, რომელიც 18 მილიონ დოლარს გადაუხდის, თავის მთავარ ვარსკვლავ ლუკა ტონის მიჰყიდის. ასე და ამგვარად, ტონის გაყიდვის შესახებ სიცილიელებმა თუნდაც თეორიულად, მაგრამ უკვე ოფიციალურად თქვეს. მეორე მხრივ კი, თუ მათ ნათქვამს დავაკვირდებით, ისეთი ფასი დათქვეს, რომ შესაძლოა, ეს პირიქით, არგაყიდვას ნიშნავდეს.

„ლუკა ტონი აქაურობას დათქმულ თანხაზე ნაკლებად არ დატოვებს — განაცხადა „პალერმოს“ პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ.

სხვათაშორის, ამბობენ, რომ სიცილიელი ფორვარდის შეძენით მეტისმეტად არის დაინტერესებული „ფიორენტინა“, მაგრამ ფლორენციელები ძამპარინის მოთხოვნილ თანხას მხოლოდ ტონიში კი არა, ტონისა და კრისტიან ძაკარდოში ერთად იხდიან. ამასთან, ძამპარინი თავისი ფლორენციელი კოლეგის, იების სპორტული დირექტორის პანტალეო კორვინოს მოქმედებებით არის უკმაყოფილო.

„ის ყოველთვის თაღლითობს, ოც ფეხბურთელზე ამბობს, შეძენა მინდაო და ამით დიდ არეულობას ქმნის. მგონი, უმიზეზოდ უყვარს ბოლის დაყენება“ — ამბობს სიცილიელი.

ხოლო, რაც შეეხება ლუკა ტონის, მან „რენცო ბარბერაზე“ ორ სეზონში 50 გოლი მარტო სერია A-ს თამაშებში გაიტანა, მაგრამ წინა კვირაში განაცხადა, „პალერმო“ როგორიც იყო, ისეთი აღარ იქნებაო და ამით ძამპარინი გააცოფა. შეფმა თქვა: „ის ჯერ საკმაოდ ბავშვია საიმისოდ, ჭკვიანური იდეების განხილვაში რომ მიიღოს მონაწილეობა. ამიტომ, მნიშვნელოვანი საკითხები მე უნდა დამიტოვოს“.

და კიდევ, ამბობენ, რომ „პალერმო“ „გალათასარაისგან“ კოლუმბიელ მეკარე ფარიდ მონდრაგონს ყიდულობსო.

**პაპუნა ძიდია**



ლუკა ტონის სატრანსფერო ფასი 18 მილიონი დოლარია

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# ანდონი სუბისარეტა

# ბასკური გულით და მუშტით



*მასზე ვერ იტყვი უშეცდომო მეკარე იყოო, პირიქით, მისი უხეში შეცდომით წაგებული ბევრი მატჩი შეიძლება გავიხსენოთ. მაგრამ მას თამამად უწოდებენ ლეგენდარულ ფეხბურთელს, მრავალ თაობათა კერპს, ესპანური და ევროპული ფეხბურთის ვარსკვლავს.*

*ანდონი სუბისარეტა ურეტა — ბასკურ ვიტორიაში დაბადებული, სულითა და ხორცით ბასკი — ესპანეთის ხუთგზის ჩემპიონი, სამეფო თასის სამგზის, ქვეყნის სუპერთასის ორგზის, თასების თასებისა და ევროპის სუპერთასის მფლობელი, 1992 წლის ჩემპიონთა ლიგის მომგები, ოთხი მსოფლიოს ჩემპიონატისა და ორი ევროპირველობის მონაწილე. ესპანეთის რეკორდსმენი პრიმერადივიზიონში ჩატარებული 622 მატჩითა და ქვეყნის ეროვნულ გუნდში მოხვეჭილი 129 კეპით*

## უპირველეს ყოვლისა, მე ვარ, ბასკი!

1986 წელს, როცა ანდონი სუბისარეტა ბილბაოს „ატლეტიკიდან" კატალონიურ „ბარსელონაში" გადავიდა, თანაგუნდელებმა და ქომაგებმა დიდი გაცილება მოუწყვეს. აეროპორტის დარბაზში შეკრებილი უამრავი გულშემატკივრის დანახვაზე სუბიმ თავი ვერ შეიკავა და ატირდა. მეორე დღეს არც ერთ ბასკურ გაზეთში აქვითინებული მეკარის ფოტო არ დაბეჭდილა — გაზეთის გამომცემლები შეთანხმებულან, დიადი სუბისარეტას ცრემლი ესპანეთმა არ უნდა ნახოსო. სამაგიეროდ, გაზეთების პირველი გვერდები სუბისარეტას სიტყვებით იყო აჭრელებული: უპირველეს ყოვლისა, მე ვარ, ბასკი!

16 წლის იყო ჩვენი წერილის გმირი, მესამე დივიზიონის „არაჩებალეტეში" რომ დაიწყო თამაში. ორი წლის მერე მშობლიური ვიტორიის „ალავესში" გადავიდა. 1981 წლის ივლისში კი ბილბაოს „ატლეტიკომა" მიიწვია. ბილბაოელებს იმ დროს ხავიერ კლემენტე წვრთნიდა, ხოლო გუნდის ლიდერები გოიკოეჩია და ხულიო სალინასი იყვნენ. კლემენტე ახალგაზრდა მეკარეს ენდო და გუნდის ძირითადში მიუჩინა ადგილი. მოკლე ხანში, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ეს ბრგე, უშიშარი და მცველთა შემფუცხუნებელი ბიჭი „ატლეტიკის" ყორჩი შეიქნებოდა. კლემენტეს თავკაცობითა და სუბისარეტას შეუპოვრობით, ბილბაოელებმა მანამდე არნახულ წარმატებებს მიაღწიეს — ზედიზედ ორჯერ მოიგეს პრიმერადივიზიონი და ესპანეთის თასსაც დაეუფლნენ.

ნიჭიერ მეკარეზეც ნადირობა დაიწყო — ესპანური ფეხბურთის ბობოლები, მადრიდის „რეალი" და „ბარსელონა" სუბისარეტას ხელში ჩასაგდებად ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ. გრანდთა დავაში გადამწყვეტი სიტყვა „ატლეტიკის" თავკაცებსა და, რა თქმა უნდა, თავად ანდონის ეკუთვნოდათ. და სუბიმ თქვა: „მე არ მიყვარს „რეალი" და იქ გადასვლა არ მსურს. „ატლეტიკის" გარდა თუ სხვა გუნდში ვითამაშებ, ეს გუნდი „ბარსელონა" იქნება. კატალონიური კლუბის წარსული პატივისცემას იმსახურებს".

ამ სიტყვებს მალე ისეთი ამბავი მოჰყვა, რამაც მადრიდელებს მეკარეზე საბოლოოდ ჩააქნევინა ხელი — სუბისარეტამ მაშინდელი „რეალის" სიმბოლოს, ემილიო ბუტრაგენიოს ისეთი დაარტყა, სამეფო გუნდის კაპიტანი „სანტიაგო ბერნაბეუს" მოედნიდან გულწასული გაიყვანეს.

ამასობაში, „ბარსას" ემისრები კვლავ მიადგნენ „ატლეტიკის" კარს და ბილბაოელებმაც სუბისარეტას კატალონიისკენ დაულოცეს გზა.

## არ არსებობს ბარსელონაზე დიადი გუნდი

კატალონიის დედაქალაქში ჩასვლამდე სუბიმ მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. ესპანეთის ნაკრებმა კვლავ ვერ გაახარა გულშემატკივრები. მაშინ მექსიკის სტადიონებზე დიეგო მარადონა ბრწყინავდა. მალე მუნდიალმოვლილი სუბისარეტა და მარადონა ერთმანეთს პრიმერადივიზიონში შეხვდნენ და... ტვინშერყეული ელ დიეგო მოედნიდან საკაცით გაიყვანეს — საჯარიმოში ჩაწოდებული მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში, დიდ არგენტინელს შმაგი ბასკის მუშტი მოხვდა თავში. ერთი ეპიზოდიც ამ ორი ლეგენდარული კაცის ურთიერთობიდან: როცა პრიმერას მორიგ თამაშში მარადონამ უმძიმესი ტრავმა მიიღო, სუბისარეტამ ბავშვივით აიყვანა ხელში და ექიმებს სათუთად ჩააბარა.

1987 წელს სუბი ესპანეთის საუკეთესო მეკარედ აღიარეს, 1988-ში კი მან „ბარსელონასთან" ერთად პირველი ჯილდო მოიგო — სამეფო თასს დაეპატრონა. სწორედ ამ პერიოდში კატალონიურ გუნდში ერთგვარი ბასკური სათვისტომო შეიქმნა — სუბისარეტას უახლოესმა მეგობრებმა, ხოსე მარი ბაკერომ, ჩიკი ბეგირისტაინმა და ხულიო სალინასმა „ბარსას" მაისურები მოირგეს. გუნდი სულ უკეთ და უკეთ ათამაშდა, მაგრამ იოჰან კრუიფის გამწვრთნელობის მერე, მართლაც უმაღლეს მწვერვალებს უწია. ზედიზედ ოთხჯერ მოიგო პრიმერადივიზიონი, 1992 წელს კი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული შეიქნა.

1994 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის გახსენება კი სუბისარეტას და იმ დროის ბევრ ბარსელონელს ალბათ მწარე მოგონებებს უშლით — იტალიურმა „მილანმა" ხომ 4:0 გაანადგურა კრუიფის „ოცნების გუნდი". სწორედ ამ მატჩის მერე მოიძულა ჰოლანდიელმა მეკარე. სუბისარეტა იგონებს: „ათენიდან ბარსელონაში მომავალ თვითმფრინავში სამარისებური სიჩუმე იდგა. სალაპარაკო არაფერი გვქონდა. სავარძლებში ნირწამხდარნი ვიჯექით და სახე ჩამოგვტიროდა. სავარძლებს შუა კი კრუიფი ბოლთას სცემდა. მას გული აწუხებდა და ამიტომაც სთხოვდა კლუბის ადმინისტრატორი კარლოს ნავალი არ ენერვიულა და დამჯდარიყო. ამ დროს მწვრთნელი მომიახლოვდა და მითხრა — მე შენ აღარ გენდობი. ალალად გეტყვით, მაშინ მის ჯანმრთელობაზე უფრო ვფიქრობდი. მოგვიანებით კი „მილანთან" მარცხმაც და კრუიფის სიტყვებმაც ერთნაირად დამწყვიტა გული".

ამ ამბიდან ორი წლის თავზე მწვრთნელ-ფეხბურთელი შერიგდნენ — კრუიფმა წიგნის პრეზენტაციაზე დაპატიჟა სუბისარეტა. ჰოლანდიელის ავტობიოგრაფიული წიგნის ერთ თავში კი ასეთი სიტყვები წერია: „სუბისარეტა საუკეთესო მეკარეა მათ შორის, ვისთანაც მიმუშავია.

ახლა უკვე ვალენსიელი ანდონიც დიდ იოჰანს გადაეხვია...

## უკან, ბილბაოში

თვითმფრინავში მომხდარი ზემოთ ნახსენები ამბის მერე, 32 წლის სუბისარეტა „ვალენსიაში" გადადის და იქ ხუთ წელს დაჰყოფს. ამ ხნის მანძილზე ის კვლავ ესპანეთის ნაკრების შეუცვლელი მეკარეა, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და 1997-98 წლების სეზონში, „ვალენსია" — „ტენერიფეს" მატჩის დასრულებისთანავე სუბიმ პრესას განუცხადა, რომ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე კარიერას დაასრულებდა: „36 წლის ვარ და დროა, გზა ახალგაზრდებს დავუთმო. 21 წელი გავატარე პროფესიულ ფეხბურთში და მართალი გითხრათ, დავიღალე. დასვენება ნამდვილად არ მაწყენდა".

ბოლო მატჩი სუბისარეტამ 1998 წლის 24 ივნისს, საფრანგეთის მუნდიალზე ითამაშა. ამ დღეს ლანსში ესპანეთის ნაკრებმა ბრწყინვალე საჩუქარი მიუძღვნა საკუთარ ოდ გამზადებულ თანაგუნდელს — ბულგარეთის ნაკრები 6:1 დაამარცხა.

კარიერის დასრულების მერე სუბიმ ტელეკომენტატორობა სცადა, ერთხანს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაშიც წამუშავა. 2004 წელს კი მშობლიურ ბასკეთში დაბრუნდა — ბილბაოს „ატლეტიკოს" გენერალური მენეჯერი შეიქნა.

„ამ თაობამ ჯერ არ იცის, როგორ უნდა გახდე ჩემპიონი, მაგრამ მე ხომ ვიცი. აქ იმიტომ ვარ, რომ ბიჭებს გამარჯვება ვასწავლო. გუნდს, რომელშიც ბასკები თამაშობენ, შეუძლია გახდეს ჩემპიონი. მერწმუნეთ ახლა, ჩვენ ხომ თავის დროზე გვყავდა ასეთი გუნდი" — ამბობს სულითა და ხორცით ბასკი, „ატლეტიკოს" გენერალური მენეჯერი ანდონი სუბისარეტა.

**სოსო ძოტორეიშვილი**



ანდონი სუბისარეტას კარში გოლის გატანა ძნელი იყო



ანდონი სუბისარეტა და მისი ლეგენდარული „ბარსელონა"

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 ივლისი** | | | | | | |
| 20:30 | 1 | ლინცერი-ზალცბურგი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 20:30 | 2 | ლუსტენაუ-ავსტრია(ლ) | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 20:30 | 3 | შვანენშტადტი-კურნტენი | 3.10 | 3.00 | 2.00 | 1.52 | 1.21 | 1.20 |
| 20:30 | 4 | ავსტრია(მ)-გრატკორნი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 20:30 | 5 | ალტახი-[illegible] | 1.80 | 3.20 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.72 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 6 | სატურნი-ლოკომოტივი | 2.70 | 2.90 | 2.50 | 1.39 | 1.29 | 1.34 |
| 15:00 | 7 | როსტოვი-ზენიტი | 3.30 | 3.00 | 2.10 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| 15:00 | 8 | ამქარი-ტორპედო | 2.45 | 2.90 | 2.70 | 1.32 | 1.28 | 1.39 |
| 15:00 | 9 | ალანია-ცსკა | 4.80 | 4.00 | 1.50 | 2.18 | 1.14 | 1.09 |
| 15:00 | 10 | მოსკოვი-სატურნი | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 15:00 | 11 | რუბინი-შინიკი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 15:00 | 12 | ტერეკი-ტომი | 1.85 | 3.00 | 4.20 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 13 | დინამო-კრილია | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 2[illegible] | [illegible] | 3.50 | 3.50 | 1.85 | 1.75 | 1.21 | 1.21 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 39 | ჰაკა-ალიანსი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 40 | მაიპა-ჰიკ | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 15 | რეიკიავიკი-[illegible] | 1.90 | 3.10 | 3.60 | 1.17 | 1.24 | 1.66 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 55 | შიმიცუ-ნაგოია | 2.25 | 3.00 | 2.85 | 1.28 | 1.25 | 1.46 |
| 14:00 | 56 | ვერდი-ურავა | 2.40 | 2.90 | 2.70 | 1.31 | 1.27 | 1.39 |
| 14:00 | 57 | იოკოჰამა-კაშიმა | 2.70 | 2.90 | 2.40 | 1.39 | 1.27 | 1.31 |
| 14:00 | 58 | ომია-ივატა | 2.60 | 2.90 | 2.55 | 1.37 | 1.28 | 1.35 |
| 14:00 | 59 | კავასაკი-ტოკიო | 2.00 | 3.00 | 3.30 | 1.20 | 1.24 | 1.57 |
| 14:00 | 60 | ნიიგატა-კობე | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 14:00 | 61 | ჰიროსიმა-გამბა | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 14:00 | 62 | სერეძო-იჩიჰარა | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 14:00 | 63 | კაშივა-ოიტა | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საერთაშორისო ტურნირი** | | | | | | |
| | | **შვეიცარიაში** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 22:15 | 95 | ბაზელი-ლაუტერნი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| | | **უკრაინა** | | | | | | |
| | | **სუპერ თასი (ოდესა)** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 21:45 | 138 | დინამო-შახტარი | 2.65 | 2.90 | 2.55 | 1.38 | 1.29 | 1.35 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **სუპერ თასი (ნეიტ)** | | | | | | |
| | | **8 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 139 | პეტრჟალკა-ბ.ბისტრიცა | 2.05 | 3.00 | 3.20 | 1.21 | 1.24 | 1.54 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 104 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| | | **ოქროს თასი** | | | | | | |
| | | **(აშშ)** | | | | | | |
| | | **6 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 125 | კოლუმბია-პანამა | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 23:45 | 126 | ტრინიდადი-ჰონდურასი | 3.10 | 3.00 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24


## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 127 | კანადა-კოსტა რიკა | 3.90 | 3.30 | 1.75 | 1.78 | 1.20 | 1.14 |
| 23:45 | 128 | აშშ-კუბა | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| | | 8 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 129 | სამხრეთ აფრიკა-მექსიკა | 5.20 | 3.40 | 1.55 | 2.05 | 1.19 | 1.06 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 130 | გვატემალა-იამაიკა | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 6 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 137 | ატლეტიკო პრ-სან პაულუ | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო


# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP სინგაპურიდან

სინგაპურში სესიის საზეიმო გახსნის ერთ-ერთი ფრაგმენტი




სინგაპურის ესპლანადეს თეატრში სოკ-ის 117-ე სესიის გახსნის ცერემონიალი

# ეს ოთხი დღე სინგაპურში

**გუშინ და დღეს სინგაპურში, შეიძლება ითქვას, ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. დღეს აქ მადრიდს, მოსკოვს, ლონდონს, ნიუ იორკსა და პარიზს შორის უნდა შეარჩიონ საუკეთესო, რომელიც 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. სპეციალისტთა აზრით, ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველ ქალაქებს შორის ასეთი მძაფრი და დაძაბული ბრძოლა ჯერ არ ყოფილა. სინგაპურში გუშინ საღამოს გაიხსნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 117-სესია, რომლის მუშაობაში ყველაზე საინტერესო ნაწილი სწორედ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის გამოვლენა იქნება.**



AFP სინგაპურიდან

ჟაკ როგი მომავალ დამარცხებულებს წინასწარ აშოშმინებს

სინგაპურში ჩინოვნიკებმა მუშაობა ორშაბათს დაიწყეს. კერძოდ, მოისმინეს ტურინში 2006 წელს და ვანკუვერში 2010 წელს გასამართი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა მოხსენებები. კანადელთა გუნდს წარმოადგენდა ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი შვეიცარიელი რენე ფაზელი.

მომავალი ოლიმპიური თამაშების პერსპექტივებს, რომელთა ორგანიზატორები უკვე ცნობილია (ტურინი, ვანკუვერი და პეკინი, სადაც 2008 წელს ზაფხულის ოლიმპიადა გაიმართება), სოკ-ის წევრები ხვალ და ზეგ განიხილავენ.

თუმცა, მხოლოდ დღევანდელი დღეა, რომელიც დღევანდელობით სულაც არ ცხოვრობს და წინ იყურება.

როგორც სპეციალისტები და ბუკმეკერები ფიქრობენ, 2012 წლის სამასპინძლოდ მოსკოვი აშკარა აუტსაიდერია, პარიზი კი უეჭველი ფავორიტი, რომელმაც 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაში პეკინთან თავის დროზე მხოლოდ გეოპოლიტიკური მოსაზრებებით წააგო. მაშინ ოლიმპიური თამაშები, შეიძლება ითქვას, წინასწარ უბოძეს აზიას.

ახლა სხვა ქალაქ-კანდიდატებს ასევე კოლოსალური მხარდაჭერა აქვთ. სინგაპურში ჩავიდნენ ხუთივე კანდიდატ ქალაქთა მერები, ცნობილი სპორტსმენები და პოპულარული პიროვნებები. მაგალითად, ლონდონის მხარს უჭერს დევიდ ბექჰემი და სვენ გორან ერიკსონი, ნიუ იორკს — ჰილარი კლინტონი (ნიუ იორკის შტატის სენატორი), ნადია კომანეჩი და მუჰამედ ალი, ესპანეთს — მიგელ ინდურაინი და რაული, საფრანგეთს — მარი ჟოზე პერეკი და კალათბურთელი ტონი პარკერი. მადრიდის მხარდასაჭერად ჩავიდა თვით დედოფალი სოფია.

სესიის მუშაობა ფაქტობრივად 8.30 საათზე დაიწყება, ნახევარი საათის მერე კი პირველ პრეზენტაციას დაიწყებს პარიზი. თითოეულ ქალაქს საპრეზენტაციოდ ეძლევა ერთი საათი და კიდევ ნახევარი — პრეს-ბრიფინგისთვის. რიგითობა ასეთი იქნება: პარიზი, მოსკოვი, ლონდონი, ნიუ იორკი, მადრიდი. თბილისის დროით 13.45 საათზე დაიწყება კენჭისყრა და 16 საათამდე მისი შედეგები ოფიციალურად გაცხადდება. საღამოს დასრულებს გამარჯვებულ ქალაქთან კონტრაქტებზე ხელმოწერა.

პირველ ტურში კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს სოკ-ის 99 წევრი, რომელთაც ხმის უფლება აქვთ, ხოლო მისი პრეზიდენტი ჟაკ როგი ამ საქმეში არ ჩაერევა, რაკი მას ასეთი უფლება არ აქვს. თამაშგარე მდგომარეობაში იქნებიან იმ ქალაქთა წარმომადგენლები, რომლებიც ოლიმპიადის მსურველები არიან.

გამარჯვებისთვის კანდიდატმა ქალაქმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა უნდა დააგროვოს. თუ პირველ კენჭისყრაზე ეს არ მოხდება, მაშინ გაიმართება მეორე კენჭისყრა, სადაც ბრძოლას გამოეთიშება ის ქალაქი, რომელიც ყველაზე ნაკლებ ხმას მოაგროვებს. ამ შემთხვევაში ბრძოლას გამოთიშული ქალაქის წარმომადგენლებს ხმის უფლება ენიჭებათ და კენჭისყრაში მონაწილეობაენ. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ საბოლოოდ არ გაირკვევა გამარჯვებულის ვინაობა.

კენჭისყრა დახურულია და იყენებენ სპეციალურ ელექტრონულ მოწყობილობებს.

სოკ-ის 117-ე სესიის სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება სპორტის იმ სახეობათა შერჩევა, რომლებშიც გაიმართება 2018 წლის ოლიმპიური თამაშები. ბოლო წლებში ასეთ სახეობათა რაოდენობამ, დადგენილისამებრ არ უნდა გადააჭარბოს 28-ს. ასე რომ, იმ სპორტრულმა ფედერაციებმა, რომლებსაც სურთ ოლიმპიურ ოჯახში შეღწევა, უთუოდ უნდა დაამტკიცონ, რომ ამჟამინდელ რომელიმე სპორტის სახეობისთვის ოლიმპიურ თამაშებზე ბევრიც არაფერი ესაქმება ადგილი არ არისო.

გამორიცხული არ არის, რომ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში მოხვდეს გოლფი, შვიდკაცა რაგბი ან ორივე ერთად, ან კიდევ რომელიმე სხვა სახეობა. ასე რომ, სოკ-ის წევრთა ხმების მოპოვება არც აქ იქნება სახუმარო საქმე.

შეგახსენებთ, რომ სოკ-ის ბოლო სესია, სადაც ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი აირჩიეს, 2001 წელს მოსკოვში გაიმართა. სწორედ მოსკოვში გაიმარჯვა პეკინმა, რომელმაც ამ წარმატებას მეორე ცდაზე მიაღწია. პეკინმა 105-დან 56 ხმა მოაგროვა. ჩინეთის დედაქალაქმა აჯობა ტორონტოს, პარიზსა და სტამბოლს (მაშინ პრეტენდენტი იყო ოსაკაც).

1997 წელს ლოზანაში კენჭისყრის ოთხი ტურის გამართვა გახდა საჭირო, რათა საბოლოოდ 2004 წლის თამაშების სამასპინძლოდ ათენს გაემარჯვა (მაშინ კანდიდატები იყვნენ აგრეთვე: რომი, კეიპტაუნი, სტოკჰოლმი და ბუენოსაირესი). ასეთივე ბრძოლა იყო ტოკიოში 1990 წლის სესიაზე, სადაც ატლანტამ გაიმარჯვა და 1993 წელს მონაკოში, როცა სიდნეის მისცეს უპირატესობა. ამასთან, ატლანტას გამარჯვებისთვის ხუთი ტურის გავლა დასჭირდა.

ასეა თუ ისე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გუშინ გამოვიდა ოფიციალური მოხსენებით, რომელიც წინასწარ შეეცადა მომავალი დამარცხებული ქალაქების წარმომადგენელთა დაშოშმინებას. ჟაკ როგმა იმ დამარცხებულ ოთხ ქალაქს ურჩია თავიანთი ძალა კვლავ სცადონ 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად.

„იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული კანდიდატი ქალაქი მალზე ხარისხიანად მოემზადა, ჩვენ მოხარულები ვიქნებით, თუ ისინი თავიანთ კანდიდატურებს მომავალი თამაშებისთვისაც წარმოადგენენ. ხუთივე ქალაქის წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი პრეზენტაციები წარმატების საუკეთესო შანსს იძლევა".

სოკ-ის პრეზიდენტმა ისიც დასძინა, რომ „დამარცხებული ქალაქები ძალზე განაწყენდებიან, მაგრამ თითოეულმა უნდა გააცნობიეროს, რომ მათ განკარგულებაში რჩება უმაღლესი დონის შეჯიბრებათა ორგანიზაციის გამოცდილება."

**ავთანდილ ჭყვიშელი**




# დღეს ერთი ქალაქი გაიხარებს და ოთხი დამწუხრდება

**კიდევ რამდენიმე საათი და სინგაპურში გამოცხადდება 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის ვინაობა, მანამდე კი არის დიდი მოლოდინი და ვნებათაღელვა.**

**ფინალს შემორჩენილი პარიზის, ლონდონის, მადრიდის, მოსკოვისა და ნიუ იორკის წარმომადგენლები ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ, ხავსსაც ეჭიდებოდნენ, რათა როგორმე გადაებირებინათ და მოემრავლებინათ მომხრეები. ბუქმეიკერთა ვარაუდით, და საერთოდ, სპეციალისტთა თუ არასპეციალისტთა აზრითაც, ქალაქების ოლიმპიურ რბოლაში პარიზი ლიდერობს, ბოლო ადგილზე კი მოსკოვია, რომელიც ყველა დანარჩენს კატასტროფულად ჩამორჩება. თუმცა, არც მოსკოვის წარმომადგენლობაა უიმედოდ და არც სხვების, მაგრამ, თუ გავიხსენებთ ისტორიას, ვნახავთ, რომ ფავორიტები ყოველთვის ვერ იმარჯვებენ და ზოგჯერ მასპინძლობის უფლებას აუტსაიდერი იღებს.**

**ყველა** ფიქრობდა, რომ 1996 წელს, როცა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების საუკუნოვანი ისტორია გვირგვინდებოდა, ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებას ათენი დაეუფლებოდა, მაგრამ ატლანტამ გაიმარჯვა, რომლის წარმატებაც ცოტას თუ სჯეროდა.

მართალია, საბერძნეთის დედაქალაქმა 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მაინც მოიპოვა, მაგრამ იმ დროისთვის ყველა ვარაუდობდა, რომ მასპინძელი რომი იქნებოდა. ოთხი წლით ადრე, როცა 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი უნდა აერჩიათ, ყველა ფიქრობდა, რომ ჩინეთის დიდ კედელზე მოგვიწევს გასეირნებაო, მაგრამ ის თამაშები სიდნეის გზას გაუდგა. თუმცა, პეკინმა მოგვიანებით მაინც მიაღწია წარმატებას და როგორც უკვე ყველამ იცის, იგი 2008 წლის ოლიმპიადას უმასპინძლებს.

ამ მეტოქეობაში ბოლო სიტყვა იმასაც კი არ ეკუთვნის, თუ რა დაიწერება შემფასებელი კომისიის დასკვნაში, არამედ ანგარიშგასაწევია საერთო პოზიტიური განწყობის ატმოსფერო, ბუნებრივი სამართლიანობის გრძნობა და ისიც, თუ მასპინძლობაში ვისი რიგია. მაგალითად, ძნელი საფიქრელია, რომ ოლიმპიურ თამაშებს ზედიზედ უმასპინძლოს, ვთქვათ, ევროპის ქალაქებმა, ან სხვა კონტინენტის წარმომადგენლებმა. ისიც საეჭვოა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ორმა ქალაქმა ერთი, ორი ან თუნდაც სამი ოთხწლიანი ციკლის შემდეგ მოიპოვოს მასპინძლობის უფლება.

თუმცა, ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებსო და ამქვეყნად არაფერია მოულოდნელი. გეხსომებათ, რომ ატლანტის ოლიმპიური თამაშების მერე ზამთრის ოლიმპიური თამაშებიც ამერიკაში, სოლტ ლეიკ სიტიში ჩატარდა. ამიტომაც იმ გახმაურებული ალებ-მიცემობის შემდეგ ახლა მკაცრად კონტროლდება მაძიებელი ქალაქებისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა ურთიერთშორის კონტაქტები.

წინათ, განმცხადებელი ქალაქები რეგულარულად იყენებდნენ „კონსულტანტებს", რომლებიც დაწვრილებით ადგენდნენ სოკ-ის დაახლოებით ასოცივე წევრის დოსიეს, რომლებსაც ხმის უფლება ჰქონდათ. ამ დოსიეში გათვალისწინებული იყო ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი, დაწყებული მათი სექსუალური გატაცებიდან, დამთავრებული კულინარული ლტოლვებით. ეს ყოველივე იმდენად დეტალურად იყო შესწავლილი, რომ ყველამ, ვინც საჭირო იყო, იცოდა, თუ სოკ-ის ესა თუ ის წევრი ყავაში რამდენ კოვზ შაქარს ყრიდა. ამიტომაც ხმების მოპოვებით დაინტერესებულმა პირებმა ზუსტად იცოდნენ, თუ სოკ-ის ამა თუ იმ წევრისთვის რომელ „ლილაკზე" უნდა დაეჭირათ თითი. მაგალითად, თუ სოკ-ის ერთ წევრს ფეხბურთი უყვარდა, იგი სტადიონებზე დაჰყავდათ, თუ ვიღაცას ჭკუა ძაღლებზე ეკეტებოდა, მას სწორედ იმ ჯიშის ლეკვს უგზავნიდნენ საჩუქრად, რომელიც ყველაზე მეტად გაახარებდა.

ხმები დადის ერთი ასეთი ისტორიის შესახებ: 1992 წელს, როცა ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი უნდა აერჩიათ, იმ სასტუმროში, სადაც ბინა დაედოთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს, ცხოვრობდა ერთი კაცი, რომლის ნომერიც შეცდომით უამრავი საჩუქრებით გაავსეს და იქაურობა კოხტად შეფუთულ ყუთებით ჩახერგეს. იმ „გაჭირვებულმა" სასტუმროს ადმინისტრაციაში იჩივლა, ეს რა უბედურებაა, ჩემს საწოლამდე ველარ მიმიღწევიაო.

სოლტ ლეიკ სიტისთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ მსგავსი ამბები შეწყდა და ახლა თეორიულად ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მაძიებელნი თანაბარ პირობებში არიან. პრეტენდენტებს ეკრძალებათ სოკ-ის წევრებთან შეხვედრა. თუმცა, თუ „შემთხვევით" იმავე სასტუმროში დაბინავდებით, სადაც იქნებიან სოკ-ის წევრები და იქვე ბარში ჩამოჯდებით, ამით ქვეყანა არ დაიქცევა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ სოკელი დიდმოხელენი თავიანთი ყავის საფასურს თავადვე გადაიხდიან, მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი შეხვედრები შემთხვევითია?

ლობისტი აღჭურვილი უნდა იყოს დიდი მოთმინებით. მას უნდა შეეძლოს გათენებამდე ბარში ჯდომა, დილაუთენია ბუფეტში შერბენა და ლიმნიანი ჩაის წრუპვა. ლობისტი თავისი კონტაქტების გამოსანახავად არ უნდა შეუშინდეს ცივ მიღებას, მიღებაზე საერთოდ უარი [illegible] და თუ იგი წევრს არ [illegible] შესაძლოა, მიაღწიოს [illegible] წევრებთან შეხვედრას [illegible] იმაზე წაჩქარებას, თუ [illegible] დის ქალაქების შესწავლა [illegible]

რა თქმა უნდა, [illegible] შორის არიან ისეთები, [illegible] იმ დროის დარღვევა, [illegible] კანდიდატი ქალაქების [illegible] ვიზიტებით იწვევენ [illegible] ლიობენ იმის დამტკიცებას [illegible] ჭარია შთაბეჭდილების [illegible] ვარც იტყვიან, მარტივად [illegible] ასეთი სოკ-ის წევრები [illegible] ან, რომ უმჯობესია [illegible] ხელით დაწერილს და [illegible] კუმენტაციებში ამოკითხულ [illegible] ლდებს, არამედ საკუთარ [illegible] დილებებსა და ინსტინქტებს [illegible] მანამდე იღებენ გადაწყვეტილებას [illegible] სანამ მათ წინ მაგიდაზე [illegible] ორ 600-გვერდიან ტომს.

ბოლოს და ბოლოს, ახლა [illegible] ის წევრები, რომლებსაც [illegible] ლება აქვთ, საკუთარ დასკვნებს [illegible] წილობრივ გამოიტანენ [illegible] დვით, თუ რა დაადგინა შემფასებელმა კომისიამ. თუმცა, [illegible] ითვალისწინებენ უამრავ სხვა [illegible] ტორსაც... იმავე დროს [illegible] მშვენივრად იციან, რომ [illegible] ფარულად ტარდება.

ასე რომ, ვერავინ [illegible] იგებს, თუ ვინ ვის მისცა ხმა [illegible] არც არავინ ჰკითხავს [illegible] თუ რას ემყარებოდა მათი [illegible] გადაწყვეტილება.

**ავთანდილ ტყვიშელი**



ჰილარი კლინტონი, ჟაკ შირაკი და ნიუ იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი

AFP სინგაპური



ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლაურა ფლესელი ესაუბრება ხელბურთელ ჯეკსონ რიჩარდს და ლორან ბლანს (შუაში). იქვეა პარაოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ცურვაში ბეატრის ჰესი



მალხაზ ჭეიშვილი



ქართველთა შვიდკაცა

# ევროპაზე ძველ ნაცნობებს გადავეყარეთ

**ბათუმსა და ანდორაში 2-3 ივლისს გამართული ევროპული შვიდკაცა სერიის ტურნირებმა კონტინენტის 12 საუკეთესო გუნდი გამოავლინა. საქართველომ აჭარის დედაქალაქში გაპირველების შემდეგ 10 ქულას კიდევ 16 სარეიტინგო ქულა მიამატა და საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გავიდა. პირველ-მეორე ადგილები პორტუგალიამ და საფრანგეთმა ირგუნეს.**

**მოსკოვში** 16-17 ივლისს გასამართი ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ზემოხსენებული სამი გუნდის გარდა უკრაინა, ესპანეთი, მოლდოვა, იტალია, გერმანია, ლატვია, ხორვატია და რუმინეთიც მოხვდნენ. ამათ რუსეთიც დაუმატეთ, რომელიც დაგროვილი ქულებით საუკეთესო თორმეტში რომც არ აღმოჩენილიყო, ჩემპიონატში მასპინძლის სტატუსით მაინც მიიღებდა მონაწილეობას.

ორი ქვეჯგუფი გუნდების მიერ დაგროვებული სარეიტინგო ქულების მიხედვით დაკომპლექტდა.

A ჯგუფში პორტუგალია, უკრაინა, ესპანეთი, იტალია, გერმანია და ხორვატია მოხვდნენ, B ჯგუფში კი ტურნირის მასპინძელი რუსეთის გარდა საფრანგეთი, საქართველო, მოლდოვა, ლატვია და რუმინეთი აღმოჩნდნენ.

როგორც თავადაც შეამჩნევდით, ჩვენი ქვეჯგუფი პირველზე გაცილებით ძლიერია და აქედან ნახევარფინალში გასასვლელად „პორჯღალოსნებს“ დიდი ჯაფა დაადგებათ.

საფრანგეთი ევრორეიტინგში ჩვენზე მაღლაა და მის სიძლიერეში ეჭვი არავის ეპარება. რუსეთი მასპინძელია და ესეც რომ არ იყოს, ობიექტურად კარგი გუნდი ჰყავს, რაშიც ბათუმური ტურნირიდანაც დავრწმუნდით. რუმინული „მუხის ფოთოლი“ ჩვენთვის ხომ ყოველთვის ძნელად მოსაწყვეტია და კარპატელებთანაც რომ პრინციპული მატჩი გველის, ულაპარაკოდ შევთანხმდეთ.

მოლდოვამ, რომელსაც აჭარაში სტუმრობამდე სერიოზულად არ ვუყურებდით, კლანჭები ბათუმში გამოაჩინა და ჩვენთან შეხვედრაში პირველი ტაიმი უმაღლეს დონეზე ითამაშა, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი თავად რუმინელებს გაუსწორდა.

ერთადერთი აშკარა აუტსაიდერი ლიტვაა, რომელსაც პირველ-მეორე ადგილებზე და შესაბამისად, ნახევარფინალში გასვლის არანაირი შანსი არ აქვს.

ჩვენებურთა მწვრთნელ მალხაზ ჭეიშვილს 12-კაციანი განაცხადის შედგენა მოუწევს. როგორც ბათუმური შვიდკაცას დამთავრებისთანავე აღნიშნა, ცვლილებები არ იქნება და რუსეთის დედაქალაქში იმავე გუნდით ჩავა, რომელმაც აჭარაში თასი მოიგო, თუმცა ბათუმურ შვიდკაცაზე განაცხადი 10-კაციანი იყო და ბატონ მალხაზს ორი მორაგბის დამატება მოუწევს.

„შემადგენლობის შეცვლას არ ვაპირებ და თუ ტრავმებმა არ დაგვრია ხელი, მოსკოვში ამ გუნდს წავიყვან, იმ ორი მორაგბის ვინაობას კი რომლებიც უნდა დავიმატოთ, ჯერ ვერ დავასახელებთ“ — აცხადებს ბატონი მალხაზი, ჩვენ კი ბათუმური ათეული ჩამოვთვალოთ: მერაბ კვირიკაშვილი, ვახტანგ ახვლედიანი, დავით ჟამუტაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, გიორგი შკინინი, გიორგი კაჭარავა, დავით კაჭარავა, ზვიად კობერიძე, ლექსო გუგავა, გიორგი ელიზბარაშვილი.

აქვე ერთსაც დავძენთ: ჯგუფის სიძლიერემ საქართველოს რაგბის კავშირის შეკრების მიწყობა გადააწყვეტინა, თუმცა სად გაივლიან ჩვენებურები მოსკოვისთვის მზადებას, ჯერ უცნობია.

**ლადო ფულუკიძე**

ჭიდაობა

# ოქრო წაგვართვეს



კახა გეწაძე

**გუშინ** ვილნიუსში ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და ოთხ წონით კატეგორიაში ჩემპიონ-პრიზიორებიც გამოვლინდა. ჩვენებურთაგან კვარცხლბეკს მხოლოდ მალხაზ ზარქუამ (60 კგ) უწია მან ვერცხლის მედალი მოიპოვა, თუმცა ეს არც თავად გახარებია და არც დელეგაციაში მყოფ ქართველებს.

ზარქუა ფინალამდე ისე მივიდა, მეტოქეებისთვის ერთი რაუნდიც კი არ დაუთმია. ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიცილა სამხრეთაფრიკელი საიდ ქუბაისი, ბულგარელი ნიკოლაია კურტევი, ლიტველი ანდრიუს ვოიტეჩოვსკისი და ყაზახი ბორიზან ორაზგალიევი. ფინალიც ისე იჭიადვა, ნორმალური მსაჯობის შემთხვევაში რუსი ვაგივ კაზიევიც ორ რაუნდში უნდა დაემარცხებინა მაგრამ...

„რაც დღეს მოხდა, საჭიდაო სამყაროს შეურაცხყოფაა — გვითხრა გუშინ საღამოს ჯერ კიდევ დარბაზში მყოფმა ქართული დელეგაციის თავკაცმა, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ — ყველამ აშკარად დაინახა, რომ კორუფციულ გარიგებას ჰქონდა ადგილი. ზარქუამ ბრწყინვალედ იჭიდავა და რუს მოჭიდავეს ყველაფერში აჯობა, მაგრამ ვერაფრით გავიგეთ, მსაჯებმა მისი მეტობისთვის მიცემული ქულები საიდან გამოიგონეს. უსამართლობა ამის შემდეგაც გაგრძელდა. ცხადია, შეხვედრა მაშინვე გავაპროტესტეთ და ფირის ნახვა მოვითხოვეთ, თუმცა უშედეგოდ. ორგანიზატორიან-მსაჯებიანად ყველა დაიმალა. იმ დონის გარიგება იყო, გასაპროტესტებელი ინსტანცია აღარ დაგვრჩა“.

დანარჩენ ჩვენებურთაგან მედალს ყველაზე მეტად 50 კილოგრამში მოჭიდავე კოკა კოტორაშვილი მიუახლოვდა. მან პირველ წრეში დაისვენა, მერე კი ლატვიელ ალექსანდრს ტრუსკინისსა და იაპონელ შოტა ნაგაეს სამრაუნდიან ბრძოლებში აჯობა. მეოთხე წრეში კოკა ყირგიზ ილიას ოზუმბეკოვს დაეჭიდა და 6 წუთისა და 28 წამში დამარცხდა. რეპეშაჟში გადართულს კი ბრინჯაოს მედალი ირანელმა ბაჰარ ჯალალიმ ააცალა ცხვირწინ.

74 კილოგრამში არჩილ ქიტიაშვილმა თურქი ტევფიკ კელესის ძლევით დაიწყო, მაგრამ მერე ამერიკელ სტივ ლუკესთან ვეღარაფერს გახდა, 6 წუთსა და 34 წამში წააგო და რადგან მერე ვერც ლუკემ იყოჩაღა, ბრინჯაოს შანსიც დაკარგა.

უნგრელი ვიქტორ ვანკოს მომგებმა და თურქ რიზა ილდიმარისგან ძლეულმა ზალიკო მარტიაშვილმა (96 კგ) რეპეშაჟიც კარგად დაიწყო, იაპონელი ტაკაჰირო შიმონაკა ჩამოიცილა, თუმცა ბულგარელ რუფატ გელჰანთან ვეღარას გახდა.

ამრიგად ნახევარი შეჯიბრის ჩამთავრების შემდეგ ქართულ ყულაბაში ერთი ვერცხლია, რაც უკვე წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგის გაუმჯობესებას ნიშნავს. შეგახსენებთ, რომ შარშანწინ ჩვენმა თავისუფლებმა კვარცხლბეკს ვერც ერთ წონაში ვერ უწიეს.

დღეს ვილნიუსურ ხალიჩაზე მალხაზ ქურდიანი (55 კგ), მალხაზ მუზიაშვილი (66 კგ), ნიკო გაგნიძე (84 კგ) და ბაჩანა კარანაძე (120 კგ) იჭიდავებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ძიუდო

# ხაბარელი არ ჩქარობს
## მთიდან ჩამოსულები სტამბოლს მიდიან



შოთა ხაბარელი

**ბაკურიანულ** შეკრებაზე მყოფ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს დღეს ცხრა კაცი გამოეყოფა და თურქეთს გაემგზავრება. 7-10 ივლისს სტამბოლში გასამართ საერთაშორისო ტურნირის ტატამზე ზაზა კედელაშვილი (66 კგ), ტარიელ მინესაშვილი (73 კგ), გრიგოლ შინჯიკაშვილი, დავით კარბელაშვილი (ორივე 81 კგ), ზურაბ ზვიადაური (90 კგ), ირაკლი ცირეკიძე, გია გუგავა (ორივე 100 კგ), გიორგი ყიზილაშვილი და ლაშა გუჯეჯიანი (ორივე +100 კგ) გავლენ.

გუშინ ეს სია ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმა მოგვაწოდა და გვითხრა, თურქეთში გუნდს ამირან ტოტიკაშვილი წაიყვანსო.

მომავალი ტურნირი საქართველოს ეროვნული გუნდისთვის სექტემბერში ეგვიპტეში ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი შესარჩევ ეტაპად რომ მიიჩნევა, თქმაც არ უნდა, მაგრამ მწვრთნელი კონკრეტულ კომენტარს ჯერ არ აკეთებს.

შოთა ხაბარელი:

„სტამბოლის ტურნირზე წამსვლელი შემადგენლობა რა კრიტერიუმით შევარჩიეთ, ამაზე ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. ჯერ ძალიან ადრეა საუბარი ჩემს საბოლოო არჩევანზეც. ბაკურიანის შემდეგ ორი ბორჯომული შეკრება გველის და თავისი სიძლიერის დამტკიცების შანსი ყველას ექნება. ეგვიპტურ შვიდეულს კი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე შეიტყობთ.“

**ოთარ მაღლაკელიძე**

# წითელი ხაზი ყინულიდან ქრება

*ახალი შეთანხმება ნჰლ-სა და მოთამაშეთა ასოციაციას შორის ჯერაც არ გაფორმებულა, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ სეზონის დაწყების შემთხვევაში ჰოკეი სრულიად სხვაგვარი სახით დაგვიბრუნდება. როგორც გაირკვა, ლიგა რამდენიმე ცვლილებას გეგმავს, რამაც კარდინალურად უნდა შეცვალოს თამაში.*
*ნჰლ-ის ოფიციალური წყაროს ინფორმაციით, ახალი სეზონიდან ძალაში სულ ცოტა, ორი ცვლილება შევა და ორივეს უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ჯერ ერთი, ეგრეთ წოდებული „წითელი ხაზი“ გაუქმდება*

**მოგეხსენებათ**, უკვე რამდენიმე წელია, ევროპაში წითელი ხაზის გარეშე თამაშობენ და ამას, რბილად რომ ვთქვათ, დიდი მოწონება არ დაუმსახურებია. ნჰლ-ში კი გაუქმებას მომხრეები გამოუჩნდნენ. „წითელი ხაზის“ გაუქმების შედეგად თამაში უფრო სწრაფი გახდება. ნჰლ-ში ეს ახალი წესი მაისში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ განსაკუთრებით შეუყვარდათ.

„მე ეს წესი სულ უფრო და უფრო მომწონს. შესაძლოა, ჩემთვის ის ნაკლებად მისაღებია, ვინაიდან სისწრაფეში ვერ შევეჯიბრები თუნდაც იმავე რიკ ნესს, მაგრამ იდეა აშკარად კარგია“ — ამბობს „სენტ ლუისის“ ლიდერი დუგ უეიტი. ყოველთვის გონებამახვილი და ენაწყლიანი ჯერემი რენიკი კი პირდაპირ აღფრთოვანებულია:

„ღმერთო ჩემო, ეს დაუჯერებელია! ნუთუ ამ წესს მართლა შემოვიღებთ. წითელი ხაზის გაუქმება ხომ თამაშს გაახალისებს. ეს დიდებული რამ იქნება ნჰლ-ისთვის.“

ახლა ცოტა რამ ამ ცვლილების არსზე:

მოგეხსენებათ, წითელი ხაზი მოედნის ცენტრშია გავლებული, ხოლო წესი კრძალავდა საკუთარი ზონიდან მეტოქის ზონის მისადგომებთან შორეული პასის გაკეთებას. ამის გამო დაცვითი ტაქტიკის მოყვარული გუნდები ათასგვარი ხრიკებით ახერხებდნენ მოედნის შუა ნაწილში მეტოქის შებოჭვას, ახლა კი მაღალი ტექნიკის მქონე მოთამაშეებს მიეცემათ შანსი, ერთი გონივრული პასით მოუღონ ბოლო მთელ ამ სისტემას და თამაშიც უფრო ღია და სწრაფი გახდება.

ახლა მეორე წესის შესახებ: ნჰლ-ში აღარ იქნება ფრეები და ყველა მატჩში გამარჯვებული გამოვლინდება ოვერტაიმის შემდგომი ბულიტების მეშვეობით. თანაც ლიგა კიდევ უფრო შინაარსიანი ოვერტაიმების გამართვას აპირებს. თუ ადრე დამატებითი დრო ოთხი ოთხზე იმართებოდა, ამიერიდან ოვერტაიმის მსვლელობისას ყინულზე მყოფი ჰოკეისტების რაოდენობა კიდევ ერთით შემცირდება და მოედანზე თითოეულ გუნდში მხოლოდ სამი მოთამაშე დარჩება. დღის წესრიგში კიდევ რამდენიმე ცვლილებაა და ერთ-ერთი მეკარეებს ეხება. ამჯერადაც გოლკიპერთა ეკიპირების ზომების შემცირებაზეა საუბარი.

ერთი სიტყვით, ლიგა ყველანაირად ცდილობს, ერთწლიანი პაუზის შემდეგ ჩრდილო ამერიკის ყინულებზე დაბრუნებული ჰოკეი გაცილებით თვალსასეირო და შედეგიანი იყოს. თუმც როდის, ჯერაც უცნობია. გასულმა კვირამაც ვერ გაარკვია ეს საკითხი და ორშაბათს მოლაპარაკება კვლავ გაგრძელდება.

**სამველ ღარიბიანი**

# ოლიმპიადისკენ ჰერი, ჰერი!

*მითქმა-მოთქმა ოლიმპიადაში ნჰლ-ის ჰოკეისტთა მონაწილეობის შესახებ გამართლდა. მართალია, ლიგას არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება, მაგრამ თავად ჰოკეისტებმა იგდეს ინიციატივა ხელთ და გარკვევით გამოხატეს ამ საკითხისადმი თავიანთი დამოკიდებულება*

**მაშ ასე**, კანადელი ნჰლ-ელები ოლიმპიადისთვის მზადებას აგვისტოში შეუდგებიან. უკვე ცნობილია შეკრების ზუსტი თარიღი, ადგილი და კანდიდატთა ვინაობაც კი. 17-20 აგვისტოს კანადის ქალაქ კელოვნაში 36 მოთამაშე შეიკრიბება. და ის, რომ კანადელები არ ხუმრობენ, მიწვეული კანდიდატების სიიდანაც ნათლად ჩანს. საკმარისია მხოლოდ რამდენიმე სახელის ხსენება: ჯო საკიკი, მარტინ ბროდო, ჯერომ იგინლა, სტივ აიზერმანი, მარტენ სან-ლუი და თვით მარიო ლემიეც კი გახდება ამ შეკრების მონაწილე... ასე რომ, ფაქტობრივად მოთამაშეებმა ერთგვარი ულტიმატუმი წარუდგინეს ლიგის მეთაურებს, თქვენი მსჯელობა ზედმეტია, ოლიმპიადა გვინდაო.

ვფიქრობთ, რომ ნჰლ-ს სხვა გზა აღარ დარჩენია. 2006 წლის თებერვალში ჩვენ კვლავ უდიდესი მოვლენის მომსწრენი გავხდებით.

**სამველ ღარიბიანი**



## ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი



# კაცი გზაში მიატოვეს



ლენს არმსტრონგმა ლიდერის ყვითელი მაისურა მოირგო

**გუშინ** ტურიდან ბლუამდე დასაფარი 67,5 კმ. დისტანცია „ტურ დე ფრანსის“ მეოთხე, გუნდურ ეტაპზე ლენს არმსტრონგის გუნდისთვის მეტად იღბლიანი აღმოჩნდა. „დისქავერიმ“ პირველი სამი ტურის შემდეგ გაპირველებული დეივ ზაბრისკის „სი-ეს-სი“ ჩამოიტოვა.

არმსტრონგის თანაგუნდელმა, იტალიელმა პაოლო სავოლდელიმ ფინიშის ხაზი 1 საათში, 10 წუთსა და 39 წამში გადაკვეთა. „დისქავერიმ“ სარეკორდო საშუალო ჩქარე — 57,31 კმ/სთ განავითარა.

ლენსმა და მისმა გუნდელებმა 2 წამით აჯობეს ზაბრისკის და კომპანიას. გეხსომებათ, ზუსტად ამავე დროით გაუსწრო დეივმა არმსტრონგს პირველ ეტაპზე.

ზაბრისკი გუნდს რომ მიჰყოლოდა, მასაც იენს ფოიგტის მიერ ნაჩვენები მეორე შედეგი დაეწერებოდა, თუმცა საუბედუროდ, „სი-ეს-სი“ ფინიშის ხაზიდან სულ რაღაც 1200 მეტრში დარჩა სოლტ-ლეიკსიტელის გარეშე. ზაბრისკი მოსახვევში წაიქცა და გვარიანი დრო დაკარგა. გუნდელებს სხვა გზა აღარ ჰქონდათ, დევიდი მიატოვეს და გზა განაგრძეს. სწორედაც მოიქცნენ, რადგანაც საბოლოო ჯამში ფოიგტის მეცადინეობით გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს.

მესამე ადგილზე იან ულრიხის გერმანული „ტი-მობილი“ გავიდა, რომლის ლიდერმაც ფინიშს 1 საათში, 11 წუთსა და 14 წამში უწია.

საერთო ჩათვლაში ახლა ამერიკელები ლიდერობენ. ლენს არმსტრონგი კვლავ პირველია და მეხუთე ეტაპზე ყვითელი მაისურით მოიწონებს თავს. მისი თანამემამულე და გუნდელი, ჯორჯ ჰინკაპი ჯერჯერობით მეორეა და [illegible] პირველობისაგან 55 წამით ჩამორჩება. მესამე პოზიცია იენ ფოიგტს უკავია. არმსტრონგი მას წუთითა და 4 წამით ჯობნის.

ყოფილი ლიდერი დევიდ ზაბრისკი საერთო ჩათვლაში მეცხრე ადგილზე ჩამოქვეითდა.

**ლადო წულუკიძე**

**მეოთხე ეტაპი (გუნდური). 5 ივლისი — ტური-ბლუა. 67,5 კმ**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | დისქავერი | 1 სთ | 10 წთ | 39 წმ |
| 2 | სი-ეს-სი | | | 02 წმ |
| 3 | ტი-მობილი | | | 36 წმ |
| 4 | ლიბერტი სეგუროსი | | | 53 წმ |
| 5 | ფონაკი | | 1 წთ | 31 წმ |
| | **საერთო ჩათვლა** | | | |
| 1 | ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქავერი) | 9 სთ | 59 წთ | 12 წმ |
| 2 | ჯორჯ ჰინკაპი (აშშ, დისქავერი) | | | 55 წმ |
| 3 | იენს ფოიგტი (გერმანია, სი-ეს-სი) | | 1 წთ | 04 წმ |
| 4 | ბობი ჯულიჩი (აშშ, სი-ეს-სი) | | 1 წთ | 07 წმ |
| 5 | ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი, დისქავერი) | | 1 წთ | 15 წმ |

# შიშველი ამორძალები



**მოსკოვის** ერთ-ერთი გარეუბნის ნუდისტურ პლიაჟზე გაიმართა შეჯიბრება ქალთა მრავალჭიდში. ცხადია, მისი მონაწილენი შიშვლები იყვნენ.

უნდა ითქვას, რომ რუსეთში მსგავსი ასპარეზობა სიახლე სრულიადაც არაა, ცვლილება მხოლოდ ერთი იყო: ორი წლის წინათ ამორძალები მხოლოდ ორ სახეობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს — მშვილდოსნობასა და ველორბოლაში. წლევანდელ ასპარეზობას ცხენოსნობაც დაემატა.

სანახაობა მეტად შთამბეჭდავი გამოდგა. ათმა გაშიშვლებულმა ახალგაზრდა ქალმა თავდაპირველად მდინარე ოკას სანაპიროზე ველოსიპედებით ჩაიქროლა, მერე კი ისინი ცხენებს შემოახტნენ და ჭენებ-ჭენებით გადალახეს წინაღობები. რადგან ცხენი სულ ხუთი იყო, ნიმფებმა კენჭი ყარეს. შემთხვევითობის წყალობით ერთმა ცხენმა, რომელსაც ქუხილი ერქვა, საერთოდ მონაწილეობა ვერ მიიღო შეჯიბრებაში. ამ. კეტრინს კი სამჯერ მოუწია გაჭენება და სამივეჯერ სხვადასხვა მხედარს მიაქროლებდა.

დასკვნით სახეობაში, მშვილდოსნობაში მხოლოდ 25 მეტრზე გაიმართა შეჯიბრება. ქულებს ისე ითვლიდნენ, როგორც თანამედროვე ხუთჭიდში — თითოეულ სახეობაში ცალ-ცალკე, შემდეგ კი ყველას ერთად აჯამებდნენ.

საბოლოოდ ყველას აჯობა მოსკოველმა ლერა ლემეშენკომ. მას საზეიმოდ გადასცეს პრიზი — DVD-ის პლეიერი.

შიშველი ქალების შეჯიბრებას ნუდისტური წესებისამებრ ასევე შიშველი მამაკაცები ადევნებდნენ თვალყურს და გამარჯვებულებსაც მხურვალედ უკრავდნენ ტაშს.





AFP სინგაპური

# აი, რამხელა თავშეყრა

სინგაპურის „რაფლზ ოტელში" დიდი თავშეყრაა. აქ გადაწყდება, თუ ვინ იქნება 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძელი. ლიდერები ლონდონი და პარიზი არიან, თუმცა არც ნიუ იორკი და მადრიდი ყრიან ფარხმალს. ამიტომაც მადრიდის მერი ალბერტო გალარდონი რაულთან და არანჩა სანჩეს ვიკარიოსთან ერთად ატარებს პრესკონფერენციას, ხოლო ნიუ იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი მუჰამედ ალის ეგებება. ნიუ იორკსვე უჭერს მხარს ტანმოვარჯიშე ნადია კომანეჩი, რომელიც თავის 30 წლის წინანდელ ფოტოსთან იწონებს თავს. ველოლეგენდა მიგელ ინდურაინი, ცხადია, მადრიდს ეხმარება, ხოლო ბექემთა წყვილი ლონდონის მასპინძლობას ცდილობს. ნბა-ს ვარსკვლავი ტონი პარკერი კი ფრანგთა გუნდის მხარდამჭერია და პარიზულ დელეგაციასთან ერთად ზის ავტობუსში. ყველაფერი დღეს გაირკვევა.





AFP სინგაპური





AFP სინგაპური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნაროზაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან ჯულაყიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნაშვილი, ბადრი კვიციანიძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია პეხელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge